# ალია

გვიან ღამით ფოიერვერკების სროლაზე ჯარიმები დაწესდება



N136/3066/ 17 სექტემბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## რაზე შეთანხმდნენ ღარიბაშვილისა და საპარლამენტო უმრავლესობის დახურულ შეხვედრაზე?



## ტრისტან წითელაშვილი „ნაციონალების“ განადგურებით იმუქრება



რას უყვება „ალიას“ საპატიო გენერალი „ნაციონალების გეგმებზე“

## ალეკო ელისაშვილი:

„მე მაქვს კონკრეტული სქემა და გეგმა, როგორ გავაძევოთ ქალაქიდან „სითი პარკი“



## სკანდალური დაპირისპირება პარლამენტის განათლების კომიტეტში



რა ინფორმაციას მიაწვდიან ღარიბაშვილს განათლების მინისტრზე

## გადაბარგდება თუ არა ოპოზიციაში და რა კრიზისის გამოწვევა შეუძლია მარგველაშვილს?



## ბარბარე რაფალიანცის ოჯახის ადვოკატი თავდაპირველ განცხადებას ცვლის



ბარბარე რაფალიანცის ოჯახის ადვოკატი ლალი ბიწოშვილი თავის თავდაპირველ განცხადებას ცვლის და აცხადებს, რომ „აღნიშნული ეჭვებს ეფუძნებოდა". საუბარია 16 სექტემბერს გავრცელებულ ვიდეოზე, რომელიც, როგორც ადვოკატი აცხადებს, 2014 წლის თებერვალშია ჩაწერილი და რომელშიც ის რაფალიანცის გარდაცვალების საქმესთან „ქართული ოცნების" კავშირზე საუბრობს:

„გამოძიება წავიდა არასწორი მიმართულებით. ამას ვაღიარებ. მე თავად ვიყავი ადვოკატად წასული „ქართული ოცნებიდან". ჩემთან ერთად იყო ვარლამ ხათრიძე, რომელიც დღეს საქართველოს გენერალური ინსპექციის სამმართველოს უფროსია და რაც მე ვიცი, თავადაც იცის. რაფალიანცები უნდა დამერწმუნებინა, რომ მათი ადვოკატი ვიქნებოდა და არც ერთ ნაბიჯს არ გადავდგამდი მათ გარეშე. მათი საუბრები იშიფრებოდა და პროკურატურაში მუშავდებოდა. ვარლამ ხათრიძე და ზვიად ჯანყარაშვილი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მათი მეგობარი ვარ და შემაჩერებდნენ. იცოდნენ, რომ მათი ხათრით ხმას არ ამოვიღებდი. დღეის მდგომარეობით, ყველა პირი, ვინც მე დავასახელე, დარწმუნებულია იმაში, რომ ეს „ქართული ოცნების" გაკეთებულია", – განაცხადა მან.

ადვოკატის თქმით, მას ამ თემაზე საუბარი ჰქონდა ვარლამ ხათრიძესთან, რომელიც „სიტუაციის დალაგებას" და სამსახურს დაჰპირდა.

„ეს იყო შემოთავაზება, რათა მე სიმართლე არ მეთქვა. ღარიბაშვილის გამოსვლის შემდეგ, როდესაც თქვა, რომ ოჯახის წევრებმა ყველაფერი იციან, ოჯახთან მივიდნენ ჟურნალისტები. ისინი ჩემსას ამბობდნენ. ეს ქაოსი ხათრიძემ იცოდა და სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მიმატოვა ყველაფრის გარეშე. მისთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ „ნაციონალებმა" შემომითვალეს, შევხვედროდი დავით ბაქრაძეს და მქონდა დაპირებები, რომ ვიქნებოდი ხელშეუხებელი, ამისრულებდნენ მოთხოვნას და, რაც ყველაზე მთავარია ჩემთვის, ჩემი და ზაზას (ოჯახის წევრი) სიცოცხლე. მას შემდეგ, რაც ხათრიძეს ვაცნობე, რომ „ნაციონალებისგან" მქონდა სერიოზული შემოთავაზება და ითხოვენ ჩემგან სიმართლეს, ჩვენი შეხვედრა არ მომხდარა", – აღნიშნა მან.

ამასთანავე, ადვოკატის თქმით, ხათრიძისგან ის გაურკვეველი შინაარსის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს იღებს, საიდანაც დაკვირვებული ადამიანი მუქარას ამოიკითხავს, თუმცა ხათრიძე მას პირადად აღარ შეხვედრია.

აღნიშნული ვიდეოს გავრცელების შემდეგ ოჯახი ადასტურებს, რომ ადვოკატი ლალი ბიწოშვილი და ვარლამ ხათრიძე მათთან „ქართული ოცნების" სახელით მივიდნენ და ოჯახის ნდობით სარგებლობდნენ. მათივე თქმით, ადვოკატები ოჯახს არ დაუქირავებია. (ფრონტნიუსი)

## ბინიდან გამოსახლების გამო ახალგაზრდა მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა



ბინიდან გამოსახლების გამო ახალგაზრდა მამაკაცმა ვაჟა თიკიკაშვილმა თვითმკვლელობა სცადა. არასამთავრობო ორგანიზაცია „იბერიელთა კავშირის" ინფორმაციით, მას ღუდუშაურის კლინიკაში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

მათივე ცნობით, თიკიკაშვილის საკუთარი სახლიდან გამოძევების პროცესი ჯერ კიდევ 15 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო. მამაკაცმა იმის გამო, რომ აღმასრულებელმა არ შეაჩერა გამოსახლება, თავის ჩამოხრჩობა სცადა, მაგრამ მეზობლებმა დროულად მიუსწრეს და გადაარჩინეს, შემდეგ კი დანა მკერდის არეში ჩაირტყა. (ფრონტნიუსი)



## ივანიშვილს სურს, ბოშების დამწვარი ბაზრის ადგილას „კარფური" ააშენოს

„ლეიბორისტული" პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის განცხადებით: „დაიწვა ბოშათა ბაზარი. იქ ძალიან ღირსეული ხალხი მუშაობს, მე არაერთხელ ვარ მათთან შეხვედრაზე ნამყოფი. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ივანიშვილს სურს, „კარფური" ააშენოს და ეს დაწვა ამისთვის განხორციელდა. მე არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ასე მოხდება, მაგრამ ყურადღებით მივადევნებთ თვალყურს ამ ხალხისთვის კომპენსაციების მიცემას, ზარალის ანაზღაურების პროცესს და საერთოდ ამ ბაზრის ბედს", – განაცხადა ნათელაშვილმა. (ნიუპოსტი)

## რუსთავში მამაკაცმა 3 ადამიანი ცივი იარაღით დაჭრა




რუსთავში, რჩეულიშვილის №16-ში მამაკაცმა 3 პირი ცივი იარაღით დაჭრა. შემთხვევა წუხელ, გვიან ღამით მოხდა. ამ ეტაპზე დაზარალებულების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ბრალდებული დაკავებულია. საქმე აღძრულია 118-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სხეულის განზრახ, ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს. (ნიუპოსტი)



## ავტობანის მშენებლობის გამო, იმერეთში გზებზე დროებით შეზღუდვები დაწესდა



ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის გამო, ქუთაისი-გეგუთი-საყულია-ბაში-იანეთის გზის მონაკვეთის ბოლო ორ კილომეტრზე ავტომანქანებისთვის მოძრაობა დროებით აიკრძალება. აღნიშნულ მონაკვეთზე გზის გაფართოება და ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს.

ავტობანის მშენებლობის დასრულებამდე ქუთაისი-გეგუთი-საყულია-იანეთის მონაკვეთი დროებით თბილისი-ლესელიძე-სენაკის მონაკვეთს შეუერთდება.

დაკეტილ გზის მონაკვეთზე მოძრაობა დაახლოებით ორ კვირაში განახლდება. (news.ge)

## კიწმარიშვილის საქმეზე ბიოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა



ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, კიდევ ერთი ბიოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა. ექსპერტ ზაზა ალთუნაშვილის განცხადებით, მიმდინარე კვირაში დაგეგმილია კიდევ ერთი ექსპერტიზა, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის ავტომობილში ტყვიის ტრაექტორიას დაადგენს.

რაც შეეხება 16 სექტემბერს ჩატარებულ ბიოლოგიურ ექსპერტიზას, ექსპერტის განმარტებით, კიწმარიშვილის ავტომობილის უკანა სავარძლიდან აღებულ იქნა სისხლის ხილული ნიმუშები. ალთუნაშვილის ინფორმაციით, თუ სხვა დამატებითი საკითხი არ წამოიჭრა, მიმდინარე კვირაში დაგეგმილი კიდევ ერთი ექსპერტიზა ბოლო ეტაპი იქნება გამოძიების ფარგლებში. (ინტერპრესნიუსი)

## ყანდიაშვილი „მაესტროზე"?




პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან კომუნიკაციის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, კოკა ყანდიაშვილის ჟურნალისტიკაში დაბრუნების შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტურ წრეებში ცოტა ხნის წინ გავრცელდა, ამის შესახებ გასულ კვირას ბეჭდური მედიაც წერდა. დასახელდა კონკრეტული ტელეარხი, სადაც გადაცემის „რა ხდება?" ყოფილი წამყვანი და ავტორი, სტუდია „აუდიენციისა" და სტუდია „პრემიერის" ყოფილი ხელმძღვანელი, წარსულში საქართველოში რუსეთის ტელეარხის კორესპონდენტი, მუშაობას განაგრძობს. გავრცელებული ინფორმაციით, ყანდიაშვილი ტოქშოუს „მაესტროზე" გააკეთებს. ყანდიაშვილმა ინფორმაცია არ დაადასტურა, თუმცა განაცხადა, რომ ამ თემაზე გარკვეული საუბრები იყო. მიუხედავად ყანდიაშვილის ამ განცხადებისა, „მაესტროს" თანამშრომლების ერთი ნაწილი პირად საუბრებში ყანდიაშვილის არხზე მისვლის შესახებ საუბრობს. „პირველი რადიო" შეეცადა, ინფორმაციის არხის გენერალურ დირექტორთან გადამოწმებას, თუმცა ბაია გადაბაძემ ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა (პირველი რადიო)

## ფოფხაძის სკანდალური განცხადება



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გედევან ფოფხაძე ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების საქმეზე გავრცელებულ ვიდეოს ეხმაურება და თავის თანაგუნდელებს აკრიტიკებს:

„თავიდანვე, როცა მინიშნება იყო პოლიტიკური ქვეტექსტის, ეს იყო არასწორი და ვისგანაც ეს მოდიოდა ჩემი თანაგუნდელებისგან, ეს იყო მათი მხრიდან, რა თქმა უნდა, არასწორი ნაბიჯი და ასეთი შეფასება არ არის სწორი და ეხლა რასაც აკეთებს ეს ადვოკატი, ჩემი აზრით, ეს არის ძალიან შემზარავი, არანაკლებ, ვიდრე ის, რაც თავის დროზე ჩემმა თანაგუნდელებმა განახორციელეს", – განაცხადა ფოფხაძემ. (პირველი რადიო)

## კობახიძე მარგველაშვილს გუნდის წევრად აღარ მიიჩნევს




საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე აცხადებს, რომ მას გაუჭირდება საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „ქართული ოცნების" გუნდის წევრად ჩათვალოს.

„ამ ვითარებაში, რთულია ამის თქმა, როცა ეს ფაქტორები ღიაა და არის ხელის გულზე, მე მიჭირს ამის თქმა, თუმცა მინდა, რომ გიორგი მარგველაშვილი იყოს ჩვენი გუნდის წევრი, მაგრამ ის ამბობს თავად, რომ ის არის პოლიტიკური კარიერის პიკზე და არ სჭირდება პოლიტიკური გუნდი", – განაცხადა კობახიძემ. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




ექსპერტი გია ხუხაშვილი ყველა იმ მწვავე და კრიტიკულ კითხვას უპასუხებს, რაც პრეზიდენტის გარშემო არ-

მისი დასკვნებიც კითხვის ნიშნებს ბადებს ამ ურთიერთობების შესახებ.

— **ყოფილი პრემიერი აცხადებს,**

ბრძოდით მის მიერ შექმნილ სისტემას. სააკაშვილის მიერ ჩაფიქრებულ ან მახინჯ გეგმას, რომელიც მან კონსტიტუციაში ჩაწერა და სათავისოდ მოირგო, უნდა ვებრძოლოთ და დავიცვათ ჯანსაღი ბალანსი ხელისუფლების შტოებს შორის. ამ კონსტიტუციითაც კი, რომელიც სააკაშვილმა საკუთარ თავზე მოირგო და პრემიერის რანგში სურდა ხელისუფლების უზურპირება, იქაც კი პრეზიდენტს გარკვეული სივრცე ჰქონდა დატოვებული. მეჩვენება, რომ დღევანდელი მთავრობა ამ სივრცეზეც უარს ეუბნება პრეზიდენტს. ძალიან მწყდება გული იმაზე, რომ ამ პოლემიკაში, რაც ხელისუფლების შტოებს შორის არის, ბატონი ბიძინა გამოდის, როგორც მხარე.

ლაშვილს შორის, ეს იქნებოდა უკანონო, რადგან მიმაჩნია, რომ ქვეყანა მხოლოდ კონსტიტუციით უნდა იმართებოდეს. პრეზიდენტს კონსტიტუციით გარკვეული უფლებები აქვს, მას არა აქვს უფლება, ქვეყნის ოპერატიულ მართვაში ჩაერიოს. არ მახსოვს შემთხვევა, ოდესმე ჩარეულიყოს პარლამენტის საქმიანობაში. მარგველაშვილი ცდილობს, მისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაერიოს და ასევე სხვას არ აძლევს უფლებას, მის კომპეტენციებში ჩაერიოს. თუ ვილაცას ჰქონდა სურვილი, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი მარიონეტად ექცია, ცხადია, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ რაც არ უნდა ვალდებულებები გვქონდეს ვილა-

ვერასოდეს ვიცხოვრებთ ნორმალურ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა დავალებული ვართ ბიძინა ივანიშვილთან, არავის ეპარება ეჭვი, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ვერც მარგველაშვილი გახდებოდა პრეზიდენტი, ვერც ღარიბაშვილი იქნებოდა პრემიერი, ეს ყველაფერი ერთი კაცის მოტანილია. მესმის, რომ შესაძლოა ამ ურთიერთობებმა გულისტკივილი გამოიწვია, მაგრამ სახელმწიფო ჩვენს ურთიერთობებზე ბევრად დიდია.

— **„ოცნების“ ხელისუფლება სააკაშვილთან კოჰაბიტაციაში იყო, ხოლო საკუთარ პრეზიდენტთან ამასაც ვერ ახერხებს. ივანიშვილის წყენა და მისი გაბრაზება მარგველაშვილზე რით დასრულდება?**

– ძალიან მწყდება გული, რომ

# გადაბარგდება თუ არა ოპოზიციაში და რა კრიზისის გამოწვევა შეუძლია მარგველაშვილს?

**სებობს. შეგახსენებთ, რომ გია ხუხაშვილი ერთ-ერთი იყო, ვინც პრეზიდენტ მარგველაშვილის კანდიდატურას ლობირებდა. რას ფიქრობს ის დღეს შექმნილ ვითარებაზე, გადაბარგდება თუ არა პრეზიდენტი ოპოზიციაში და რა კრიზისის გამოწვევა შეუძლია მას?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „ალიას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი უპასუხებს:**

— **რამდენად არსებობს საფრთხე იმისა, რომ მარგველაშვილს უბიძგონ და ის ოპოზიციაში გადაბარგდეს?**

– პრაქტიკულად, გამოვრიცხავ, რომ მარგველაშვილს გაეხსნას გრძელვადიანი პოლიტიკური მადა, იმ ამ ტიპის პოლიტიკოსი არ არის, მით უფრო, ამ ტიპის პრეზიდენტი. მას კარგად ვიცნობ და მისი მთავარი ამოცანაა, ქვეყანა ნელ-ნელა გადავიდეს ინსტიტუციურ მმართველობაზე, გახსნას პოლიტიკური სივრცე ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის, მაგრამ ის, რომ თვითონ მიიღოს მონაწილეობა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის ჩამოყალიბებაში და მათთან ითანამშრომლოს, ეს გამორიცხულია... თუმცა, როგორც ჩანს, ეს საკითხი ძალიან ბევრს აწუხებს, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ კვირაში მოხდა, ეს იყო ყოფილი პრემიერის ინტერვიუ, სადაც ის, პრინციპში, ძალიან დიდ ადგილს უთმობს მარგველაშვილს. ეს საკითხი ძალიან აწუხებს და ბუნებრივიცაა, მარგველაშვილისა და მთავრობის ურთიერთობის საკითხებზე, როგორც ჩანს, მოკლებულია მრავალფეროვან ინფორმაციას. ცალმხრივი შეხედულებები აქვს და

**რომ მარგველაშვილი ცდილობს, კონკურენციაში შევიდეს მთავრობასთან და ეს მას არ გამოსდის. სურს, საზოგადოებაში წარმოჩინდეს, როგორც დაჩაგრული. ფიქრობთ თუ არა, რომ ეს პარადოქსული ვითარება შექმნა კონსტიტუციამ, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა თავისთვის დაწერა?**

– კონსტიტუცია, რომელზეც ყოფილი პრემიერი აპელირებს, შექმნა მიხეილ სააკაშვილმა ზუსტად იმ მიზნით, რომ პრემიერ-მინისტრობას აპირებდა. ის უკვე პრემიერის რანგში მოახდენდა ხელისუფლების უზურპაციას, ეყოლებოდა მარიონეტული პრეზიდენტი, სავარაუდოდ, ბაქრაძის სახით, ეყოლებოდა ბუტაფორიული პარლამენტი, თავის მორჩილი უმრავლესობის სახით. ეს მოდელი ჰქონდა ჩაფიქრებული სააკაშვილს. ჩვენ გვიწევს ამ კონსტიტუციის პირობებში ცხოვრება, პარადოქსი ის არის, რომ ხელისუფლება, თითქოს ებრძვის მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ ერთადერთი ადამიანი, ვინც სააკაშვილის მახინჯი გეგმის განხორციელებას ეწინააღმდეგება, არის გიორგი მარგველაშვილი. ფაქტობრივად, მარგველაშვილი ებრძვის სააკაშვილის მიერ ჩაფიქრებული სისტემის განხორციელებას. აღმასრულებელი ხელისუფლება კი ცდილობს, ის მოირგოს, ეს ძალიან სახიფათო მემკვიდრეობა, და ერთპიროვნულად მართოს ისევ ქვეყანა. ფაქტობრივად, სქემა არის ასეთი: რეჟიმის დამარცხება არ ნიშნავს სისტემის დემონტაჟს, ჩვენ ხომ მიხეილ სააკაშვილს, როგორც სახელსა და გვარს, არ ვებრძოდით, ჩვენ ვე-

ყველა ამ დაპირისპირების ციკლში, არ მახსენდება, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი ყოფილიყო ინიციატორი. ჩემი აზრით, ეს სამარცხვინო კამათი ყოველთვის მოდიოდა მთავრობიდან, მთავრობას ჩამოუყალიბდა გარკვეული კომპლექსი, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილს აქვს ამბიციები იმაზე მეტი, ვიდრე მას ეკუთვნის. დიდი ბოდიში, მაგრამ ძირითადად ამით მარგველაშვილის კომპეტენციაში ხდება შეჭრა და არა პირიქით, კეთილმოსურნეები ამ მთავრობას არ აკლია, რომლებიც მერე გამოდიან, აკეთებენ აბსურდულ კომენტარებს და დაუკრეფავში გადადიან, აბსოლუტურ უპატივცემულობას ავლენენ პრეზიდენტთან მიმართებაში და ძალიან უცნაური სიტუაცია იქმნება, რაც ხალხისთვის მიუღებელია.

— **ბიძინა ივანიშვილმა ინტერვიუში განაცხადა, რომ მარგველაშვილმა ძალიან კარგად იცოდა, როგორი პრეზიდენტი იქნებოდა ის. არსებობდა თუ არა მათ შორის შეთანხმება და თუკი არსებობდა, რატომ გადაუხვია მარგველაშვილმა ამ შეთანხმებას.**

– ზუსტად ესაა პრობლემა. ჩვენ ვლაპარაკობთ რაღაც შეთანხმებებზე მაშინ, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო მართვას, ჩვენ უნდა ვისწავლოთ კონსტიტუციით ცხოვრება. ზეპირი შეთანხმებებით და გარიგებებით ქვეყანა არ იმართება. არაფორმალური სამართლის დამკვიდრება დიდი შეცდომა იქნებოდა ქვეყანაში, ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ კანონის ფარგლებში ცხოვრება. რა შეთანხმებაც არ უნდა ყოფილიყო ივანიშვილსა და მარგვე-



**„პარადოქსი ის არის, რომ ხელისუფლება, თითქოს ებრძვის მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ ერთადერთი ადამიანი, ვინც ეწინააღმდეგება სააკაშვილის მახინჯი გეგმის განხორციელებას, არის გიორგი მარგველაშვილი. ფაქტობრივად, მარგველაშვილი ებრძვის სააკაშვილის მიერ ჩაფიქრებული სისტემის განხორციელებას. აღმასრულებელი ხელისუფლება კი ცდილობს, ის მოირგოს, ეს ძალიან სახიფათო მემკვიდრეობა, და ერთპიროვნულად მართოს ისევ ქვეყანა“**

ცასთან, ვერავინ კონსტიტუციაზე მაღლა ვერ დადგება. არ მინდა ვიყო პათეტიკური, მაგრამ მაინც ვიტყვი... ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის არის ადამიანი, რომლისთვისაც ყველაფერს გავიღებ, რაც მაქვს, ქვეყანა გადაარჩინა და პირადად მის წინაშე ისეთი ვალდებულებები მაქვს, მთელი ცხოვრება არ მეყოფა, რომ გადავუხადო, მაგრამ ქართული სახელმწიფო არის ბევრად უფრო მაღალი ფასეულობა. თუ ჩვენ არაფორმალური მმართველობა დავუშვით, არაფორმალური შეთანხმებები კონსტიტუციაზე მაღლა დავაყენეთ, ჩვენ

ასეთ კნინობით ფორმაში მიდის მისი მხრიდან საუბარი. ივანიშვილსა და მარგველაშვილს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, ადამიანები ვართ და ყველას რაღაც გვეშლება, მაგრამ ვერ ვხედავ იმის საფუძველს, რომ ასეთ სისტემურ დაპირისპირებაში გადაზრდილიყო ურთიერთობა. მე ვფიქრობ, ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელდება. ეს ყველაფერი ლამაზად არ გამოიყურება, მაგრამ გიმეორებთ, დაპირისპირების ინიციატორი პრეზიდენტი

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მერიის მთავარი სპეციალისტი სამსახურის უფროსს სიცრუეში ადანაშაულებს



თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი ხაბურზანია ამავე სამსახურის უფროსს გიგი ნიჟარაძეს სიცრუეში ადანაშაულებს.

„თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გეგი ნიჟარაძემ განაცხადა, რომ თურმე, მე, გიორგი ხაბურზანიას მითქვამს, „არ მომწონს მერიის ადმინისტრაცია, არ ვეთანხმები მერიის დაგეგმილ პროგრამებსა და პროექტებსო“ და ამის მერე, ბუნებრივია, გაჩნდა შეთავაზება, რომ მომეძებნა ახალი სამსახური. მინდა, მივმართო ბატონ გეგი ნიჟარაძეს და ვთხოვო, დააკონკრეტოს, რომელ პროექტებსა და პროგრამებზეა საუბარი. სამწუხაროდ, მან იცრუა. მან ძალიან კარგად იცის, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა ჩვენი საუბრის დროს და ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული, მე, სამსახურის მთავარი სპეციალისტი, მივსულიყავი და გამეცხადებინა უფროსისთვის, რომ თურმე, არ მომწონს მერიის ახალი ადმინისტრაცია და არ ვეთანხმები დაგეგმილ პროექტებსა და პროგრამებს. მე ვარ ერთი რიგითი თანამშრომელი, რომელიც ასრულებს მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს ჯეროვნად და გამოვთქვამ ყველანაირ მზაობას, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მივიღო მერიის მიერ დაგეგმილ პროექტებსა და პროგრამებში“. – ნათქვამია ხაბურზანიას განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კახეთში 24-მა ღვინის ქარხანამ რქაწითელის გადამუშავება დაიწყო



მათ შორის, ერთი სახელმწიფო ღვინის კომპანია „გრუზვინპრომია“. 15 სექტემბერს სულ გადამუშავდა 1,038 ათასი ტონა რქაწითელი.

კახეთში ამჟამად სხვადასხვა ჯიშის ყურძენს სულ 35 ღვინის ქარხანა იბარებს. რთველის დაწყებიდან დღემდე, ყურძნის მიღება-გადამუშავებაში 65-მა ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, სულ რეგისტრირებულია 87 კომპანია.

16 სექტემბრის 11.00 საათის მონაცემებით, გადამუშავებულია 46 ათასამდე ტონა ყურძენი. მათ შორის, 17 ათასი ტონა რქაწითელი, 27,1 ათასი ტონა საფერავი, 1,4 ათასი ტონა კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

არ ყოფილა, ის ცდილობს, დაიცვას კანონი, პრეზიდენტის ინსტიტუტი, ამ დროს მთელი სახელისუფლებო რესურსი მიმართულია მის წინააღმდეგ, მეორე მხრიდან უფითილებს „ნაცმოძრაობა“ და კონკრეტული მედიასაშუალებები ასრულებენ მედიაქილერის როლს. ეწევიან ძალიან ბინძურ კამპანიას მარგველაშვილზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შემთხვევით არ ხდება. ასეთ მდგომარეობაში აგდებენ ადამიანს, რომელსაც არც პოლიტიკური ამბიცია აქვს და არც კეთილდღეობის სურვილი. უბრალოდ, იმისთვის ისჯება, რომ იცავს კონსტიტუციას, ეს არის ძალიან დიდი უსამართლობა.

**— ბიძინა ივანიშვილი ეჭვობს, რომ მარგველაშვილი „ნაციონალების“ საქმეს აკეთებს. მან გაიხსენა, როცა სახელმწიფო დაცვის დოკუმენტს გრიფი „საიდუმლო“ დროულად არ მოხსნა, რამაც პროკურატურის მუშაობა შეაფერხა.**

– პრეზიდენტი ცდილობდა, ეს საკითხი კარგად აეწონ-დაეწონა, რადგან ხედავდა სერიოზულ რისკებს ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ასპარეზზე. მარგველაშვილს კანონით განსაზღვრული ვადა გრიფის მოხსნაზე არ დაურღვევია. ამასთან დაკავშირებით, სხვა კონტრკითხვა მაქვს. საქმე ისაა, რომ პროკურატურას გამოძიებაში ხელს არ უშლიდა, მოხსნიდა თუ არა პრეზიდენტი დოკუმენტზე გრიფს. მეტიც, სასამართლოშიც შეიძლებოდა საქმის წარმართვა ისე, რომ გრიფი არ ყოფილიყო მოხსნილი და ისე შეესწავლათ დოკუმენტები. სასამართლოზე დახურული ნაწილიც შეიძლება იყოს. ერთადერთი, რაც გრიფის მოხსნით გაკეთდა, ინტერპრეტაცია მიეცა, რომ მარგველაშვილი გამოძიებას ხელს უშლიდა, ეს არის აბსოლუტური სისულელე, გამოძიება არ შეფერხებულა, ამ დოკუმენტის დროულად გასაჯაროებას ჰქონდა ერთადერთი აზრი – ორდღიანი პიარკამპანია მოეწყო სამართალდამცავ სტრუქტურებს. ჩემი აზრით, ამ დოკუმენტის ფრიალმა გამოძიება უფრო დააზარალა, ამან გამოიწვია ანტირეაქცია დასავლეთის მხრიდან, „ნაცმოძრაობას“ მიეცა სპექტაკლის დადგმის საშუალება მიშას კოსტიუმებზე და ა.შ. ფაქტობრივად, ეს იყო არაპროფესიონალურ დონეზე მომზადებული კომბინაცია, მხოლოდ ბოლომით გაკეთებული, რომლის შედეგიც იყო უარყოფითი, რითაც „ნაცმოძრაობას“ კიდევ ერთი შანსი მიეცა პოლიტიკური დევნილის მანტიით შემოსილიყო. ვიღაცამ ინტრიგისთვის გამოიყენა ეს თემა, რომ აი, პრეზიდენტი მარგველაშვილი დროში ჭიმავს სააკაშვილის მამხილებელ დოკუმენტებზე გრიფის მოხსნასო. პირადად მე, ყელში ამომივიდა, ეს პროვინციული, ვირეშმაკული ინტრიგანობა, რაც კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით ხდებოდა, სხვას ვერაფერს დავარქმევ.



„საარჩევნო პროცესში ჩვენ გვჭირდებოდა მონიტორი, რომელიც კიდია ფილარმონიასთან, რათა ერთი კვირა დაგვეტრიალებინა რეკლამა. ამაზე გვეთქვა უარი და ძალიან ცინიკური ფორმით მოითხოვეს გადაგვეხადა 2 მილიონი. მაინტერესებს, მიშა გიორგაძე ამაზე დღეს რა პასუხს გამცემს? უსამართლობასაც ხომ აქვს თავისი საზღვარი, როცა სულ ვანო მაჭავარიანზეა ლაპარაკი, უამრავი ოდიოზური ადამიანი იკავებს მაღალ თანამდებობას, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ემსახურებოდნენ მიხეილ სააკაშვილს, თანაც, ძალიან ბინძურად, ასეთი ხალხია დღეს ხელისუფლებაში“

**— ივანიშვილი ვერაფრით ინელებს, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტის სასახლეში შევიდა. ის კატეგორიულ უარს ამბობდა ამ სასახლეში შესვლაზე. რა მოხდა?**

– ყველა წინააღმდეგი იყო, მათ შორის მეც, რომ პრეზიდენტი ამ სასახლეში შესულიყო. არ მინდა დეტალებში შესვლა და ამან ახალი დაპირისპირება წარმოქმნას. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მარგველაშვილი იძულებული გახდა, იქ გადასულიყო. მას შეჰპირდნენ, რომ მისცემდნენ სამუშაო სივრცეს და ეს პირობა არ შესრულდა. ფაქტობრივად, მთელი მისი ადმინისტრაციული შტატი რჩებოდა ქუჩაში. წარმოიდგინეთ, კაბინეტის გარეშე დარჩენილ პრეზიდენტს როგორ უნდა ემუშავა, სად უნდა შეხვედროდა მაღალი რანგის ჩამოსულ სტუმრებს? მეორე მხრივ, სამეურნეო ნაწილს მაინც უნდა ემუშავა პრეზიდენტის სასახლეში. ერთია პრინციპები, მეორეა პრაგმატული ლოგიკა. მარგველაშვილმა ბევრი იჭოჭმანა და მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო. თუ გამოჩნდება სამუშაო სივრცე მარგველაშვილისთვის სხვა ადგილზე, ის არ არის პირად კომფორტზე ორიენტირებული, ეს ღარიბაშვილმა და ივანიშვილმა მშვენივრად იციან, დატოვებს პრეზიდენტის სასახლეს და გადავა სხვა შენობაში. საერთოდ, როცა ვლაპარაკობ სახელმწიფოზე, ისეთ თემებზე, როგორიცაა სასახლეში გადასვლა, მაჭავარიანის დანიშვნა, არ უნდა დავწვრილმანდეთ. ეს არის წვრილმანი ტექნიკური საკითხები.

**— „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, მიშა მაჭავარიანის ძმა ნამდვილად არ არის „წვრილმანი ტექნიკური საკითხი“... როგორც ვხედავთ, ბიძინა ივანიშვილი არც ამას პატიობს მარგველაშვილის...**

– ეს საკითხი მეც მძაბავდა, მქონდა ჩემი შეხედულება ამ საკითხზე, მაგრამ პრეზიდენტს პატივი უნდა ვცეთ და მის საკადრო პოლიტიკაში ზედმეტად არ უნდა ჩავერიოთ. სხვათა შორის, საარჩევნო პროცესში 2012 წელს ვანო მაჭავარიანი „ოცნების“ შტაბში დადიოდა, მაშინაც მიშას ძმა იყო და აქტიურად მონაწილეობდა პროცესებში. მე ვაკვირდებოდი მის მუშაობას პრეზიდენტ მარგველაშვილთან, მისი მუშაობა იყო პოზიტიური. როცა ერთი მხარე საყვედურობს პრეზიდენტს ვანო მაჭავარიანის გამო, რა ქნას პრეზიდენტ მარგველაშვილის მხარემ, დაიწყოს იმის ლაპარაკი რა ხდება მთავრობაში, რამდენი ბევრად უფრო ოდიოზური ადამიანია მაღალ თანამდებობაზე. თქვენც ხომ არ იცით ასეთი ჩინოვნიკები? კითხვას ვსვამ კულტურის მინისტრზე და ველი პასუხს. საარჩევნო პროცესში ჩვენ გვჭირდებოდა მონიტორი, რომელიც კიდია ფილარმონიასთან, რათა ერთი კვირა დაგვეტრიალებინა რეკლამა. ამაზე გვეთქვა უარი და ძალიან ცინიკური ფორმით მოითხოვეს, გადაგვეხადა 2 მილიონი. მაინტერესებს, მიშა გიორგაძე ამაზე დღეს რა პასუხს გამცემს? უსამართლობასაც ხომ აქვს თავისი საზღვარი, როცა სულ ვანო მაჭავარიანზეა ლაპარაკი, მეორე მხარეს კი უამრავი ოდიოზური ადამიანი იკავებს მაღალ თანამდებობას, რომლებიც მთელი თავისი ცხოვრება ემსახურებოდნენ მიხეილ სააკაშვილს, თანაც ძალიან ბინძურად, გვცემდნენ, გვატერორებდნენ, ასეთი ხალხია დღეს ხელისუფლებაში, ამ დროს უხერხულია, ვეღარ იყურებოდე ვანო მაჭავარიანის იქით და ხელზე იხვევდე ამ ფაქტს. არ ვცემ იმ ადამიანებს პატივს, ვინც მზად არიან, კანონის მიღმა ემსახურონ ხელისუფლებას. აი, ეს არის ჩემი პასუხი... ის, რომ ჩვენ თავის დროზე მონიტორზე გვითხრეს უარი იმ ფორმით, იყო კანონის დარღვევა, მაგრამ მაშინ კანონი არ კანონობდა და ბატონობდნენ პიროვნებები. თუ მაშინ პიროვნებას ემსახურებოდა ადამიანი, რომელიც დღეს მინისტრია, ჩათვალეთ, რომ იგივეს გააკეთებს. ამ ხელისუფლების პირობებშიც ბატონის მსახურები იქნებიან ასეთები და არა კანონის. ასეთ ხალხს კი სახელმწიფოს აშენება, ძალიან გაუჭირდება.



„ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის არის ადამიანი, რომლისთვისაც ყველაფერს გავიღებ, რაც მაქვს, ქვეყანა გადაარჩინა და პირადად მის წინაშე ისეთი ვალდებულებები მაქვს, მთელი ცხოვრება არ მეყოფა, რომ გადავუხადო, მაგრამ ქართული სახელმწიფო არის ბევრად უფრო მაღალი ფასეულობა. თუ ჩვენ არაფორმალური მმართველობა დავუშვით, არაფორმალური შეთანხმებები კონსტიტუციაზე მაღლა დავაყენეთ, ვერასოდეს ვიცხოვრებთ ნორმალურ ქვეყანაში“

**— გამორიცხავთ, მარგველაშვილი აიძულონ თავისი ნებით გადადგეს პრეზიდენტობიდან? ამაზე თუ აქვს ნაფიქრი მარგველაშვილს და როგორი იქნება მისი პოზიცია?**

– ამას მე არ ვისურვებდი, ეს ქვეყნისთვის იქნებოდა ძალიან ცუდი, თუმცა მესმის, მორალურად მარგველაშვილისთვის ძნელია ამ ვითარებაში ყოფნა, ვისი დამსახურებაც არ უნდა იყოს ის, რომ მარგველაშვილი დღეს პრეზიდენტია, ასეა თუ ისე, ის ხალხმა აირჩია, ყველამ პატივი უნდა ვცეთ ხალხს, მძიმე და სასტიკი ბრძოლაა, მაგრამ მარგველაშვილმა ეს ბრძოლა ბოლომდე უნდა გაიტანოს სახელმწიფოს სახელით. თუ მთლიანად ჩატყდა ხიდი, პრეზიდენტს აქვს ისეთი მექანიზმები, რომელმაც მართლა შეიძლება პრობლემა შექმნას ქვეყანაში, მე მგონი, პრობლემები არავის არ უნდა. ამ ბინძური მეთოდების გამოყენება იმისთვის, რომ პრეზიდენტი თავისი ნებით გადადგეს, არ მოხდება.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გარწმუნებთ, ჩვენ აუცილებლად მოვალთ ხელისუფლებაში“



„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით:

„ქვეყანაში არის უმწვავესი პოლიტიკური კრიზისი და ამ კრიზისიდან რეალური, მშვიდობიანი გამოსავალია ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, უსწრაფესადაა მოსაგვარებელი საარჩევნო კანონმდებლობა, შესაცვლელია საარჩევნო სისტემა და დასაზუსტებელია ამომრჩეველთა სიები. თუ აქამდე ხელისუფლება მუდმივად იმიზეზებდა დროის არქონას, ახლა საკმაო დროა იმისთვის, რომ უსწრაფესად დაიწყოს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება... როდესაც ხელისუფლებაში მყოფი გუნდი ვერ ახერხებს თავის შიგნითაც კი პრობლემების დარეგულირებას, ნათლად აჩვენებს იმას, რომ ეს გუნდი ქვეყნის პრობლემებს ვერ მოაგვარებს. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანა შესულია ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში, რომლიდანაც გამოყვანა შეუძლია ახალ ძალას, კომპეტენტურ და გამბედავ პოლიტიკოსებს და ასეთი გუნდი ვართ ჩვენ“, – აღნიშნა ბურჯანაძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ათონელზე მშენებარე რეზიდენციის დანიშნულება ჯერ განსაზღვრული არ არის



თბილისში, ათონელზე სამთავრობო რეზიდენციის მშენებლობა, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის დასრულდება, თუმცა ჯერ მისი მიზნობრივი დანიშნულების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ არის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი კახიძის თქმით:

„ათონელზე მდებარე შენობა წარმოადგენს სამთავრობო რეზიდენციას, რომლის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს ადევს გრიფი „საიდუმლო“. ჯერ მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და სავარაუდოდ, მისი დასრულება და ექსპლუატაციაში შესვლა წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. რაც შეეხება შენობის შემდგომ გამოყენებას, მთავრობას ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია. შენობას აქვს სამთავრობო რეზიდენციის სტატუსი, შენდება შესაბამისი სტანდარტებით. ამ ეტაპზე არ გვაქვს უფლება დეტალური ინფორმაცია მოგაწოდოთ“, – განაცხადა კახიძემ

მისივე თქმით, ასევე საიდუმლოა ინფორმაცია, რომელიც შეეხება მშენებლობასთან დაკავშირებულ თანხებს და სამშენებლო ფართსაც. (ინტერპრესნიუსი)

# რაზე შეთანხმდნენ ღარიბაშვილისა და საპარლამენტო უმრავლესობის დახურულ შეხვედრაზე?

15 სექტემბერს ირაკლი ღარიბაშვილი საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. საუბარი იყო ისეთ თემებზე, რასაც იქვე დაედო ტაბუ, ანუ კოალიციის დეპუტატებმა დადეს პირობა, რომ დაახლოებით 5-საათიანი მოლაპარაკებების დეტალებს არ გაახმაურებენ. როგორც „ალიასთვის“ გახდა ცნობილი, შეხვედრაზე საუბარი იყო აჭარაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ხაზგასმით ითქვა, რომ ასეთი უხერხული მომენტები წარსულს უნდა ჩაბარდეს. რაც იყო, იყო, მომხდარსა და დაშვებულ შეცდომებს აღარაფერი ეშველება, ამიერიდან ეს კონკრეტული შემთხვევა გაკვეთილი უნდა იყოს კოალიციის წევრებისთვის. მაშინ, როცა ყოველი ფეხის ნაბიჯზე „ნაციონალები“ არიან ჩასაფრებულები და ყველა დეტალს სათავიანთოდ იყენებენ, შეიძლება დახურულ კარს მიღმა ნათქვამი მართლაც არ არის გამოსამზეურებელი, მაგრამ არსებობს საკითხები, რომელთა დამალვასაც აზრი არ აქვს, პირიქით, ამ საკითხების განსჯა სავალდებულოა.

აი, სწორედ ამიტომ დაგვთანხმდა ინტერვიუზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, **დათო ლორთქიფანიძე:**

**— დათო, უმრავლესობაში რა განწყობაა ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით? შორს წასვლა არ გვჭირდება, აგერ, შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, „ნაციონალები“ არეულობას გეგმავენო. ამასთან დაკავშირებით შეხვედრაზე რაიმე გეგმა დაისახა?**

– ბუნებრივია, უმრავლესობაში არის ადეკვატური რეაქცია. შეხვედრაზე სწორედ ეს საკითხი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი. „ნაციონალები“ ისე გააქტიურდნენ, მე მგონი, სიკვდილის ბუზი დააჯდათ. უმრავლესობაში უკვე არის მზაობა, რომ უფრო მეტად გავაქტიურდეთ და გეგმაზომიერად შევუტიოთ, რათა ყველასა და ყველაფერს ყოველგვარი მიეთ-მოეთის გარეშე დაერქვას თავისი სახელი. სხდომაზე საუბარი იყო ასევე იმაზეც, რომ მედიასთან მიმართებაშიც უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო. კი, ბატონო, ზოგიერთ სფეროში არის ჩავარდნა, მაგრამ ისეთი საქმეებიც გვაქვს გაკეთებული, რომელთა წარმოჩენაც სასიკეთო იქნება. აქამდე იყო ასეთი განწყობა: კაი, კაცო, „ნაციონალებმა“ რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, მაგათ ვინ დაუჯერებს? როგორც ჩანს, დღეს ყველა მიხვდა, რომ ასეთმა მიდგომამ არ გაამართლა.

**— გახსოვს, ამ თემაზე ჩვენ როდის ვწერდით?**

– ამ თემაზე ჯერ კიდევ შარშან ვწერდით და ამის გამო არაერთხელ ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში, ჩემი კოლეგების ნაწილს სწყინდა და არ მოსწონდა ჩემი აქტიურობა. პიარი სულაც არ არის სალანძღავი სიტყვა, ადამიანებს რაც გაუკეთე, ქვეყნისთვის რაც გააკეთე, უნდა შეფუთო ლამაზად და მიაწოდო საზოგადოებას. „ნაციონალები“ იმასაც კი ლამაზად ფუთავდნენ, რასაც არ აკეთებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ვალდებულებაა, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ ბანდას გავცეთ საკადრისი პასუხი და საზოგადოებას არ დავავიწყოთ „ნაციონალების“ მიერ ჩადენილი ავი საქმეები. აქამდე ამას რომ არ ვაკეთებდით, ან სუსტად ვაკეთებდით, ამან მიგვიყვანა სავალალო შედეგამდე – დღეს სისხლის სამართლის დამნაშავეები ყელყელაობენ და ხელისუფლების დამხობაზეც კი ფიქრობენ.

**— ესე იგი, ის დეპუტატები, რომლებიც ადრე შენ გკიცხავდნენ, ახლა გეთანხმებიან?**

– მოდი, ასე ვთქვათ, დეპუტატები ლაპარაკს არც ადრე აკლებდნენ, მაგრამ ჩემი კოლეგების ნაწილი ინიციატივას არ იჩენდა. ისინი ფიქრობდნენ, ცხოვრება ყველაფერს თავის სახელს თვითონ დაარქმევს, სიტუაცია თავისით დალაგდება, ხალხი გონიერია, ხალხს არაფერი გამოეპარებაო. გასაგებია, ხალხი არის გონიერი, მაგრამ, როცა პოლიტიკა ეხება სახელმწიფოს, იქ ხალხის გონიერებას სჭირდება ორგანიზება და ინფორმირებულობა. დასამალი არ არის, რომ დღეს ჩვენ საქმე გვაქვს საინფორმაციო ომთან, ჩვენზე არ მუშაობს არც ერთი ტელევიზია. ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, მედიის საქმიანობაში არ ჩაერიოს, ეს კარგია, მაგრამ ამ ტელევიზიების მესვეურებმა ჩათვალეს, რომ ყველაფერი უნდა წარმოაჩინონ მტრულ კონტექსტში და არა ჭირისუფლის პოზიციიდან. კი, ბატონო, ძალიან ცუდია, როდესაც რამე ფუჭდება, მაგრამ ხშირად ბუზს წარმოაჩენენ სპილოდ, თითქოს დაიქცა ქვეყანა. ასეთი დამოკიდებულება პირდაპირ უნისონში მოდის „ნაცმოძრაობის“ ზრახვებთან. მე ამ შემთხვევაში ელექტრონულ მედიას





**„შეხვედრაზე ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოუწოდა დეპუტატებს აქტიურობისკენ. ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ მთავრობის წევრებთან ერთად. სიმართლე გითხრა, შვებით ამოვისუნთქე, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ჩემი კოლეგების ნაწილს არ ჰქონდა ასეთი განწყობა“**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## „პრეზიდენტი უმრავლესობასთან შესახვედრად მზადყოფნას გამოთქვამს“

გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი მზად არის, შეხვდეს საპარლამენტო უმრავლესობას:

„შევთანხმდით მთელ რიგ საკითხებზე. პირველი, საპარლამენტო უმრავლესობასთან კომუნიკაციის დალაგებისთვის აუცილებელია სისტემატური შეხვედრების მოწყობა. პრეზიდენტმა გამოთქვა მზაობა, რომ შეხვდება საპარლამენტო უმრავლესობას და ყველა კითხვას პასუხს გასცემს. ასევე, შევთანხმდით საგარეო წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებისას როგორ ხედავს ის მის ფუნქციას საქართველოს კონსტიტუციის ძალით. მე მას განვუმარტე და ის აღიარებს, რომ მისი საგარეო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ის შეზღუდულია მთავრობის თანხმობის გარეშე მოლაპარაკების ნაწილში, საერთაშორისო შეთანხმების დადების ნაწილში და უცხო ქვეყნების ელჩების აკრედიტაციაში. ანუ პრეზიდენტი იზიარებს იმ კონსტიტუციურ შეზღუდვას, რაც ვრცელდება მის მიმართ საგარეო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას“, – განაცხადა ქუცნაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## თბილისის ზოოპარკის ბინადარი სპილო ოპერაციისთვის ემზადება



თბილისის ზოოპარკის ბინადარ სპილოს 18 სექტემბერს, მსოფლიოში ცნობილი სტომატოლოგი, პეტერ კერტესი ოპერაციას გაუკეთებს. როგორც თბილისის ზოოპარკში აცხადებენ, სპილო „გრანდმა“ ეშვი მოიტეხა, შესაბამისად, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად ოპერაციის გაკეთება და მოტეხილი ეშვების ამოღება გადაწყდა.

„გრანდს“ უსერიოზულესი ოპერაციის გადატანა მოუწევს. როგორც ბუნებაში, ისე ტყვეობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სპილოები ეშვებს იმტვრევენ. სწორედ ასეთი პრობლემა აქვს გრანდს. ზოგადად, აზიურ სპილოებში მამრებს ეშვები ხანდახან საერთოდ არ ეზრდებათ, ამდენად მათი არქონა ცხოველს არსებობაში ხელს არ უშლის, თუმცა „გრანდს“ ეშვები ყბის ძვალთან იმდენად ახლოს აქვს მოტეხილი, რომ ანთებითი პროცესის თავიდან ასაცილებლად ეშვებში არსებული ღრუს ყოველდღიური გამორეცხვებია საჭირო. ამ მდგომარეობაში ცხოველის დიდი ხნით დატოვება დაუშვებელია, ვინაიდან ორგანიზმში მუდმივი ანთებითი კერის არსებობამ დროთა განმავლობაში შესაძლოა მისი დაღუპვა გამოიწვიოს. ამიტომაც სპილოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად ოპერაციის გაკეთება და მოტეხილი ეშვების ამოღება გადაწყდა“, – აღნიშნულია თბილისის ზოოპარკის ოფიციალურ „ფეისბუკის“ გვერდზე. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

ვგულისხმობ და ვფიქრობ, ამ მხრივ ჩვენ დავუშვით უხეში შეცდომები. სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის ნაწილის მენტალობა ასეთია: როდესაც ტელევიზორში ადამიანი გამოდის, ის არის დიდი კაცი, ის ტყუილს არ იტყვის. მით უმეტეს, როცა ამ „დიდ" კაცს რაიმე თანამდებობა უკავია. ჩვენ თითქოს ეს არაფრად ჩავთვალეთ, მაგრამ ფაქტია, „ნაციონალების" აქტიურობამ რაღაც შედეგი გამოიღო.



**„მიშას ახალი ქართველების „კასტა" უნდა ჩამოეყალიბებინა და ჩამოაყალიბა კიდეც, რომლებიც დღეს ისევ სააკაშვილზე ლოცულობენ. დღეს ზოგი ფარულად მოქმედებს, ხმას არ იღებს, მაგრამ სიტუაციას ელოდება. ზოგი ვერ ითმენს და პირდაპირ შეტევაზეა გადმოსული. მე თვითონ მაქვს ზოგიერთ სამინისტროსთან შეხება და ვიცი, რაც ხდება"**

**— კი, ერთი ვერსიის მიხედვით, ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა და ინფორმაციულობის თვალსაზრისით მედიასთან ურთიერთობა გაწყვიტა, მაგრამ აქ არის ერთი მომენტი, ხომ არ ტრიალებს ელექტრონულ მედიაში „ნაციონალური" ფული?**

– „ნაციონალებს" ჩვენთვის არასოდეს დაუბრალებიათ, მედიაზე ზეწოლას ახდენთო. ეს თითქოს კარგია, მაგრამ საინფორმაციო სფეროში ნამდვილად მოვისუსტეთ. რაც შეეხება „ნაციონალების" შავ ფულს, ის არსებობს ქეშად და სამწუხაროდ, ტელევიზიებში გაჟონვა ჯერაც არ არის შეწყვეტილი. ადრეც ვთქვი და ახლა ვიმეორებ: „ნაციონალებს" დღეს საზღვარგარეთიდან ფულის შემოტანა არ სჭირდებათ, ადგილზე აქვთ და როგორც უნდათ, ისე ანაწილებენ.

**— მაშინ ამას რა უნდა დაუპირისპიროთ? ერთია, რომ გააქტიურდებით, მაგრამ მეორეა — როგორ გააშუქებს მედია თქვენს აქტიურობას.**

– ამ შეხვედრაზე ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოუწოდა დეპუტატებს აქტიურობისკენ. ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ მთავრობის წევრებთან ერთად. სიმართლე გითხრა, შვებით ამოვისუნთქე, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ჩემი კოლეგების ნაწილს არ ჰქონდა ასეთი განწყობა. ერთი ამიხსნას ვინმემ, მე რატომ არ უნდა დავინტერესებულიყავი, როცა რეგიონებში თანხები იყო გამოყოფილი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ადგილობრივ არჩევნებამდე და „ნაციონალები" განგებ აჩერებდნენ პროექტებს? რატომ არ უნდა ვიყო დაინტერესებული, როგორ იხარჯება ჩემს რაიონში ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები? როცა მე ვაქტიურობდი, ასე თუ ისე, შუქდებოდა და შენ კი იცი, რომ არსად ფული არ ჩამიყრია. შეიძლება „ნაციონალები" ფულს ხარჯავენ, მაგრამ თუ შენ იაქტიურებ, ყურადღებას მაინც მიიქცევ. ამას დავანებოთ თავი, შარშან იყო ერთი ასეთი პროექტი: გაერომ გამოყო მილიონობით დოლარი, რომ ჩვენში მომხდარიყო მექანიზატორების გადამზადება. ამაზე ვინმემ რამე თქვა? რაღაცას რომ აკეთებ, ხალხს ხომ უნდა გააგებინო? მესამე მოწვევის პარლამენტში ვზივარ და კარგად მაქვს ნანახი, „ნაციონალები" ამ მხრივ როგორ მუშაობდნენ. გაიხსენე, მიშა ტრაქტორზე თვითონ შემოჯდებოდა ხოლმე და ჩაჰყავდა რაიონებში. კი, ბატონო, ეს იყო მარაზმი, გასაგებია, მაგრამ ინფორმაცია ხომ უნდა გაავრცელო, რომ ხალხმა გაიგოს, ამ სფეროში რა ხდება? ამას არ სჭირდება დიდი ვუნდერკინდობა და დიდი შემოქმედებითი ნიჭი, საქმეები დევს ხელის გულზე. მესმის, „ნაციონალებს" ძალიან საეჭვო ურთიერთობები ჰქონდათ მასმედიის წარმომადგენლებთან და ეს ურთიერთობები შენარჩუნებული აქვთ. ვაკვირდები, „ნაციონალების" დაძახილზე ყველა ტელევიზია გარბის, ჩვენ რომ დავუძახებთ, შეიძლება ერთიც არ მოვიდეს, ეს რას ნიშნავს? მე ახლა ვაპირებ რაღაც პროექტის გახმაურებას და ეს იქნება ერთგვარი ტესტიც, თუ ტელევიზიები არ გააშუქებენ, მერე გამოვალ და ყველაფერს ვიტყვი, ვინ ვისთანაა შეკრული და ვის ვისთან აქვს საეჭვო ურთიერთობები. ამიხსნას ვინმემ, რატომ არ უნდა მოდიოდეს ჩვენთან, მინიმუმ, „საზოგადოებრივი მაუწყებელი"? დავანებოთ კერძო კომპანიებს თავი, ამ არხს რა დაემართა?

**— დათო, პარტია „ქართული ოცნება" რომ დღეს გაჩერებულია და გამყინვარების პერიოდი უდგას, ამაზე ლაპარაკი იყო?**

– რა თქმა უნდა, დღეს პარტიის მექანიზმი არის ძალიან მოდუნებული. ამ მექანიზმს სჭირდება მოქოქვა და ამისთვის საჭიროა პარტიის ხელმძღვანელობის ნება. არ დაგიმალავ, სხდომაზე უკვე დავინახე საამისო ნება, ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ უახლოეს დღეებში პარტიაში შეიქმნება აღმასრულებელი მდივნის სამსახური, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავებული ყველა საკითხით. ჩვენი პარტია უნდა დაიქოქოს და იყოს რეალობის შესატყვისი. მაგალითად, კახი კალაძე, არის ვიცე-პრემიერი, უდიდესი სამინისტროს ხელმძღვანელი და პარტიისთვის ვერ მოიცლის, დრო არ რჩება, რომ ყველაფერი აკონტროლოს. რაც გინდა, ის დაარქვი, აქ უნდა იყოს კაცი, რომელიც იქნება თავისუფალი ყოველგვარი თანამდებობისგან. მას უნდა ჰქონდეს მჭიდრო ურთიერთობები ჩვენთან, რეგიონების ხელმძღვანელებთან, მოსახლეობასთან და ასე შემდეგ. ეტყობა, ვილაცებს ავიწყდებათ, რომ დღეს ზოგიერთ რეგიონში მაჟორიტარი დეპუტატი არის „ნაციონალი" და მას მიჰყავს „პარადი". მაგალითად, ასეა ჩემს რაიონში, ვანში. ვერ გავიგე, რაკი მე პარტიული სიით ვარ არჩეული, სხვადასხვა საკითხებში არ უნდა ჩავერიო? ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ არ უნდა ჩავრეულიყავით და ზოგიერთს ენაც კი მიჰქონდა მავანთან, მაგრამ ახლა ყველა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა აქტიურობა. მე პირადად, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ამ საკითხზე პრემიერმა ილაპარაკა და გვთხოვა კიდეც გააქტიურება.

**„ნაციონალები" იმასაც კი ლამაზად ფუთავდნენ, რასაც არ აკეთებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ვალდებულებაა, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ ბანდას გავცეთ საკადრისი პასუხი და საზოგადოებას არ დავავიწყოთ „ნაციონალების" მიერ ჩადენილი ავი საქმეები. აქამდე ამას რომ არ ვაკეთებდით, ან სუსტად ვაკეთებდით, ამან მიგვიყვანა სავალალო შედეგამდე – დღეს სისხლის სამართლის დამნაშავეები ყელყელაობენ და ხელისუფლების დამხობაზეც კი ფიქრობენ"**

**— დღეს სახელმწიფო უწყებები გადატენილია „ნაციონალებით", რომლებიც უკვე აშკარად გამოდიან და იმუქრებიან, რომ ამ „დებილ ბავშვებს" მალე გაყრიან. ამას რას უზამთ, რაიმე გეგმა გაქვთ?**

– ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი, ეს არის ამ უწყებების ხელმძღვანელების დროულად გადასაწყვეტი საკითხი. ამ ყველაფერს საზოგადოება ხედავს. ჩვენ ყველას გვაქვს სხვადასხვა უწყებებთან ურთიერთობა, ზოგან ჩემი მეგობრები მუშაობენ, ზოგან ჩემი ნათესავები, ნაცნობები და ყველა ერთს ლაპარაკობს, „ნაციონალებმა" წალეკეს ყველა და ყველაფერი. ესენი საერთოდ ვერ გრძნობენ, რომ კრიმინალური ორგანიზაციის წევრები არიან. ყელყელაობენ, თავი მოაქვთ დიდ მცოდნეებად, დიდ სპეციალისტებად. უკაცრავად, თვითონ ესენი ვის ადგილებზე მოვიდნენ 9 წლის წინათ? ხომ არ დაავიწყდათ, როგორ გარეკეს სამინისტროებიდან ადამიანები? მიშას ახალი ქართველების „კასტა" უნდა ჩამოეყალიბებინა და ჩამოაყალიბა კიდეც, რომლებიც დღეს ისევ სააკაშვილზე ლოცულობენ. დღეს ზოგი ფარულად მოქმედებს, ხმას არ იღებს, მაგრამ სიტუაციას ელოდება. ზოგი ვერ ითმენს და პირდაპირ შეტევაზეა გადმოსული. მე თვითონ მაქვს ზოგიერთ სამინისტროსთან შეხება და ვიცი, რაც ხდება. ამჯერად შეგნებულად არ დავასახელებ ამ სამინისტროებს, ველოდები, რომ სიტუაცია გამოსწორდეს. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ შეხვედრაზე გაცხადდა პოლიტიკური ნება და მჯერა, კრება არ დარჩება მხიარული. ჩემი აზრით, პრემიერ-მინისტრმა ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა და ჩათვალა, რომ მწვანე უნდა აენთო. იმედია, ჩემი აქტიურობა მავანთათვის აღარ იქნება გამაღიზიანებელი.

**გელა ზედელაშვილი**

**555 48-48-61**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოკუპანტებმა ქართველი მოხუცი გაიტაცეს



შეიარაღებულმა რუსმა ოკუპანტებმა საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილი დავით ვანიშვილი საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან გაიტაცეს. აღნიშნულის მიზეზი გახდა ის, რომ მარიონეტული რეჟიმის ტყვეობაში მყოფი დავით ვანიშვილი ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე პენსიის ასაღებად გადმოვიდა. ის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა შეამჩნიეს, სახლში დაბრუნების შემდეგ დააკავეს და ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით წაიყვანეს.

ვანიშვილი მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად 2012 წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა მავთულხლართები გაავლეს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. მას ოკუპანტები ნათესავებთან კომუნიკაციის უფლებას უკრძალავდნენ და ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლაზე უარს ეუბნებოდნენ. თუმცა ვანიშვილი ყოველთვე პენსიის ასაღებად და სურსათის შესაძენად ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას მაინც ახერხებდა. ამავე მიზეზით, ის ოკუპანტებს რამდენიმეჯერ ჰყავთ დაკავებული. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ქართველი სამხედროები ავღანეთიდან დაბრუნდნენ



სპეციალური ოპერაციების ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონის პირველი ნაკადი ავღანეთიდან სამშობლოში უდანაკარგოდ დაბრუნდა. 149 სამხედრო მოსამსახურეს სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი დიმიტრი კიკნაძე და საქართველოში აშშ-ის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი მეთიუ დიმიკი ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე დახვდნენ. მათ ქართველ სამხედროებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს და მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადეს.

ბატალიონი 6 თვის განმავლობაში ბაზა ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე მსახურობდა. ავღანეთში ქართველი სამშვიდობოები ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში მონაწილეობდნენ. ისინი კოალიციურ ძალებთან ერთად, სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდნენ. (ნიუპოსტი)

# ტრისტან წითელაშვილი „ნაციონალების“ განადგურებით იმუქრება

## რას უყვება „ალიას“ საპატიო გენერალი „ნაციონალების გეგმებზე“



სამხედრო ექსპერტი, ყოფილი პოლიტპატიმარი და უკრაინელ კაზაკთა საპატიო გენერალი, ტრისტან წითელაშვილი აცხადებს, რომ „ნაციონალებს საყოველთაო მობილიზაცია აქვთ გამოცხადებული.

„დღეს უკვე აქტიურად მოქმედებენ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მიზნით. „ნაციონალებს“ რამდენიმე მიმართულება აქვთ აღებული – პოლიტიკური კრიზისის შექმნა, რომელიც დაევალა გივი თარგამაძეს, გიგა ბოკერიას, გიორგი ბარამიძეს, გოკა გაბაშვილისა და გოგა ხაჩიძეს; ასევე დაევალათ ვაშაძესა და ონიანს იმ „ზონდერჯგუფების“ მობილიზება, რომლებიც თავის დროზე არბევდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს, უვარდებოდნენ ოჯახებში მოსახლეობას და ქუჩებში სცემდნენ ადამიანებს. რაც შეეხება შეიარაღებულ ჯგუფებს, ამის შექმნა დაევალათ მამუკა მამულაშვილს, ნუგზარ წიკლაურსა და აკაკი მინაშვილს, რომლებმაც შექმნეს „თავისუფალი ზონა“, სადაც შეკედლებული არიან შს სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს, კუდ-ის და სოდ-ის ყოფილი თანამშრომლები. ეს არის უტყუარი ინფორმაცია. მათ აქვთ იარაღიც. აღმოსავლეთის მიმართულებით არის რამდენიმე იარაღის სამალავი, რომლის გამოყენებასაც ისინი აპირებენ ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. თუ სახელმწიფო და შესაბამისი სამსახურები ვერ მოახდენენ სიტუაციის ლოკალიზებას, ჩვენ, სამხედრო ვეტერანმა მოსამსახურეებმა, ჩამოვაყალიბეთ მებრძოლ პატრიოტთა ჯგუფები და მზად ვართ, თუ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა შეიარაღებულმა ბანდებმა დაიწყეს სახელმწიფო გადატრიალების მიზნით მოქმედება, ჩვენ მოვახდენთ მათ განეიტრალებას“.

**„ალიას“ ტრისტან წითელაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო ტრისტან, თქვენ ამბობთ, რომ „ნაციონალებს“ რამდენიმე მიმართულება აქვთ აღებული. რა მიმართულებებია ესენი, რა მიმართულებით უნდა ველოდოთ კრიზისს?**



– კარგად იცით, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის ნიშნებია და მისი პირველი ნაბიჯი მარგველაშვილის მიერ იქნა გადადგმული. გაიხსენეთ მარგველაშვილის აკვიატებული მოთხოვნა დელეგაციების წასვლასთან დაკავშირებით. ცალსახად ვამბობ, რომ ეს მისი პირადი ინიციატივა არ იყო, მასზე ბევრი იმუშავეს, „ნაციონალების“ ნარჩენებმა იმოქმედეს მასზე. „ნაციონალებში“ ყველამ იცის, რა უნდა აკეთოს. ამ მიზნით ჩამოაყალიბეს პოლიტიკური კრიზისის დაჯგუფება, რომელიც შექმნილია ავანტიურისტი პოლიტიკოსებისგან და მათ სათავეში დგანან გაბაშვილი, ბოკერია, თარგამაძე, ხაჩიძე. მათი გეგმის ნაწილი არის პოლიტიკური მიმართულება. პარლამენტში მრავალი პრობლემატური საკითხია, საზოგადოებისთვის საჭირო საკითხები ჩავარდნილია და ულიმლამო კანონპროექტების განხილვა მიმდინარეობს. ისეთი საკითხები არის წინა პლანზე, საქართველოს მოსახლეობას რომ არ სჭირდება. ეს პროცესები სწორედ ამ მიზნით დაიწყო და მარგველაშვილის გაუაზრებელი ქმედებებიდან აქტიურ ფაზაში გადადის. მაგრამ მარგველაშვილი მარტო არ მოქმედებს. მის ბოლო განცხადებებს თუ მიადევნებთ თვალყურს, ბევრი რამ იგრძნობა მის ხმასა და პოზიციებში. ერთი-ერთში ჰგავს „ნაციონალების“ პოზიციებს. მე მიმაჩნია, რომ მარგველაშვილი ნაციონალების თამაშს თამაშობს და ის უკვე ჩახტა „ნაციონალების“ ნავში.

**„ისეთი საკითხებია წინა პლანზე, საქართველოს მოსახლეობას რომ არ სჭირდება. ეს პროცესები სწორედ ამ მიზნით დაიწყო და მარგველაშვილის გაუაზრებელი ქმედებებიდან აქტიურ ფაზაში გადადის. მაგრამ მარგველაშვილი მარტო არ მოქმედებს. მის ბოლო განცხადებებს თუ მიადევნებთ თვალყურს, ბევრი რამ იგრძნობა მის ხმასა და პოზიციებში. ერთიერთში ჰგავს „ნაციონალების“ პოზიციებს. მიმაჩნია, რომ მარგველაშვილი ნაციონალების თამაშს თამაშობს და ის უკვე ჩახტა „ნაციონალების“ ნავში“**

**— კიდევ რა მიმართულებით აპირებენ „ნაციონალები“ გააქტიურებას?**

– „ნაციონალურ მოძრაობას“, ყველა სტრუქტურაში ჰყავს დასაყრდენი. ესენი არიან ე.წ. საბოტაჟნიკების ჯგუფი. „ქართულმა ოცნებამ“ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ყველა სტრუქტურაში წამყვან თანამდებობებზე დატოვა ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ შსს-ს, თავდაცვის სამინისტროს, პროკურატურის მიმართულებით ნაბიჯ-ნაბიჯ შეექმნათ პრობლემები. ამ პრობლემებს ძალიან სწრაფად უნდა ეჩინა თავი და მოქალაქეები მწყობრიდან უნდა გამოეყვანა. ავიღოთ თუნდაც თავდაცვის სამინისტრო. ალბათ, გსმენიათ, რომ თავდაცვის სამინისტროში სისტემატურად, კვირაში ერთხელ, ხან თვეში ორჯერ პირადი შემადგენლობის მოწამვლა ხდებოდა, ხშირად კვებით. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ამას სჩადიოდნენ ის ადამიანები, რომლებიც განგებ აწყობდნენ პროვოკაციებს, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებიც დღესაც სარდლობაში არიან. ეს ის ოფიცრები არიან, ბაჩანა ახალაიამ რომ დააწინაურა, წაახალისა და მათ წინაშე ვალში არიან. ასევე ხდებოდა შსს-ში.

**— მოდით, დავაკონკრეტოთ?**

– შსს-ში ხდებოდა არასწორად დაკავებები, არასათანადო მოპყრობების უამრავი ფაქტია და ეს ყველაფერი კეთდებოდა იმიტომ, რომ შსს, ახალი ხელისუფლებისა და მინისტრის პირობებში მონსტრად წარმოეჩინათ. მათ უნდოდათ, დაეთესათ საზოგადოებაში აზრი, რომ ისეთი პოლიცია კი არ გვყავს, სააკაშვილის დროს რომ იყო, არამედ კაციჭამიები. სწორედ მერაბიშვილის დატოვებული დივერსანტები და საბოტაჟნიკები აკეთებდნენ ამას. სხვა მიმართულებებშიც ანალოგიური ხდება, საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით.

**— ეს ე.წ. მეხუთე კოლონა, რომელიც ჩანერგილები არიან, როდის იქნებიან გამოყენებული შეთქმულებისთვის?**

– მათ უკვე მისცეს დავალება, რომ შეექმნათ შეიარაღებული ჯგუფები. გაიხსენეთ, რა განცხადებებს აკეთებდა ბაჩანა ახალაია ციხიდან, რომ შეიქმნას სამობილიზაციო

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### პოლონეთს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს



პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ ქვეყნის პარლამენტის სპიკერი ევა კოპაჩი პრემიერ-მინისტრად დანიშნა და ახალი მთავრობის ფორმირება დაავალა. პრეზიდენტის კანცელარიის ცნობით, ქვეყნის მინისტრთა კაბინეტმა ფიცი 22 სექტემბერს უნდა დადოს.

57 წლის კოპაჩმა ამ თანამდებობაზე დონალდ ტუსკი შეცვალა, რომელიც 9 სექტემბერს გადადგა. 30 აგვისტოს ტუსკი ევროპული საბჭოს პრეზიდენტად დაინიშნა, რომელიც ახალ თანამდებობაზე მუშაობას 1-ლი დეკემბრიდან დაიწყებს. ამის მიუხედავად, დონალდ ტუსკი და მისი კაბინეტი მოვალეობის შესრულებას მინისტრთა ახალი კაბინეტის დამტკიცებამდე გააგრძელებს. (ინტერპრესნიუსი)

### ებოლას ვირუსის გავრცელების სისწრაფე გაორმაგდა



თითქმის გაორმაგდა ებოლას ვირუსის გავრცელების სისწრაფე დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში. ვირუსისგან უკვე გარდაცვლილია 2 461 ადამიანი, 4 985 ინფიცირებულია. ვირუსი განსაკუთრებით მოდებულია ლიბერიაში, გვინეასა და სიერა-ლეონეში.

აღნიშნული ეპიდემია „შეუდარებელია თანამედროვე ისტორიაში“, – განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დირექტორმა ბრიუს აილუორდმა.

აღსანიშნავია, რომ ებოლას დასამარცხებლად 1 მლრდ დოლარია საჭირო. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### ხაშურის სკოლაში ჭერის ნაწილი ჩამოინგრა



ხაშურის მე-4 საჯარო სკოლაში, სადაც 500 ბავშვი სწავლობს, ფლიგელის ჭერის ნაწილი ჩამოინგრა. სკოლის დირექტორის ნანა გაგნიძის განცხადებით:

„სკოლის ერთი ფლიგელი საშინლად ავარიულ მდგომარეობაშია, რამდენჯერმე მივმართე სამინისტროს, არის გაკეთებული დასკვნები სამხარაულშიც, ითხოვენ, ხეები მოვჭრათ, რომლებიც სკოლის ეზოშია, თუმცა მოსახლეობა და გამგეობა ხეებს არ ჭრიან და ამბობენ, რომ წითელ წიგნშია შეტანილი. რა ოხრად გვინდა ეს ხეები, თუ სკოლას ანგრევს?! ერთი ფლიგელი სრულად დაკეტილი გვაქვს, ძალიან გვეშინია და გვიჭირს. მიწისძვრა იყო გარკვეული ხნის წინ და კედლები უფრო დაზიანდა. ნუთუ არ შეიძლება, რომ გაგვიკეთონ რემონტი?! გათბობა კი დაგვიყენეს, მაგრამ დაზიანებულ და ავარიულ კედლებში გათბობა რას გვიშველის?!“ – აცხადებს დირექტორი.

თავის მხრივ, ხაშურის გამგეობაში აცხადებენ, რომ სკოლის ეზოში მდებარე ხეებს უახლოეს დღეებში მოჭრიან. ჭრა კი იმიტომ გაჭიანურდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამის წინააღმდეგი იყო. (ფრონტნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



*მეშვიდე გვერდიდან*

შტაბები, ეს შტაბები მოახდენდნენ მებრძოლების გაერთიანებას და დაეხმარებოდნენ უკრაინას.

**— უკრაინის დახმარება საქართველოში კრიზისის შექმნასთან რა კავშირშია?**

– საქმეც ეგ არის. აი, სწორედ უკრაინის განცხადების ქვეშ მოხდა ამ შტაბების შექმნა, მოხდა ხალხის მობილიზაცია, ყოფილი სოდ-ის, კუდ-ის და თავდაცვის სამინისტროს ოფიცრების სახით. მათ ხელმძღვანელობს მამუკა მამულაშვილი, ნუგზარ წიკლაური და აკაკი მინაშვილი. ამ მიზნით შეიქმნა ,,თავისუფალი ზონა", როგორც უფლებადაცვითი ორგანიზაცია, სინამდვილეში ეს იგივე შტაბია. ამ შტაბებში მხოლოდ ძალოვანი უწყებიდან არიან გაერთიანებულები. შექმნეს ოცეულები, რომლებიც იღებენ კონკრეტულ დავალებებს, სიტუაციის გართულებ-ბევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ესენი ქმნიან ახალ ჯგუფებს და იმოქმედებენ შერწყმულად, რომელ რეგიონში რა დარტყმა უნდა განახორციელონ.

**— რა იქნება ამ მოქმედებების დაწყების წინაპირობა, როდის იფეთქებს ეს ყველაფერი?**

– მზადება უკვე დაწყებულია. ეს გადავა აქციებში, რომელიც მოედება საქართველოს სხვადასხვა მოთხოვნებით, სინამდვილეში ეს იქნება „ნაციონალების" გეგმის ნაწილი. სწორედ ამ სისტემურ მოქმედებებში იქნება მრავლად პროვოკაციები. ამის საშუალება არ უნდა მისცეს მათ ხელისუფლებამ.

**— რაც შეეხება შეიარაღებულ ჯგუფებს, სად ინახავენ. აღმოსავლეთის მიმართულებითო, თქვით, შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ?**

– მე მაქვს ბევრი უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე არ გავახმაურებ, მაგრამ ლეტები და შაშხანები. ეს ჩვეულებრივი წახალისების მეთოდია წახალისებასა და ფულად ჯილდოსთან ერთად, მაგრამ 50 ოფიცერს ერთდროულად იარაღი დაურიგო, უკვე ეჭვს იწვევს. ამ ადამიანებს ეს იარაღი სახლში უდევთ, როცა მიიღებენ სააკაშვილისგან ბრძანებას, გამოიყენებენ ხალხის წინააღმდეგ. „ნაციონალურ მოძრაობას" აქვს უამრავი სამალავი, ზუგდიდში ნაპოვნი მხოლოდ ერთ-ერთი იყო. მაქვს ინფორმაცია, რომ კიდევ მრავალია დიდძალი იარაღი და საბრძოლო მასალები ამ სამალავებში. ეს იარაღი სჭირდებათ მაშინ, როცა მოახდენენ სრულ მობილიზაციას, შეიარაღდნენ სრულყოფილად.

**— ამის შესახებ აცნობეთ შსს-ს? რამდენი ხანია ეს ამბავი იცით?**

– დიდი ხანია, ამ მიმართულებით ვმუშაობ და თუ დროულად არ მოხდა ლოკალიზება ამ მოქმედებების, ის მალე იფეთქებს, მაგრამ არ ვართ



**„ძირითად ბირთვს წარმოადგენს 50 მოქმედი ოფიცერი, რომლებზეც სააკაშვილის ხელმოწერით გაიცა საბრძოლო იარაღი, პისტოლეტები და შაშხანები. ეს ჩვეულებრივი წახალისების მეთოდია, ფულად ჯილდოსთან ერთად, მაგრამ 50 ოფიცერს ერთდროულად იარაღი დაურიგო, უკვე ეჭვს იწვევს. ამ ადამიანებს ეს იარაღი სახლში უდევთ, როცა მიიღებენ სააკაშვილისგან ბრძანებას, გამოიყენებენ ხალხის წინააღმდეგ"**



**„შსს-ში ხდებოდა არასწორად დაკავებები, არასათანადო მოპყრობების უამრავი ფაქტია და ეს ყველაფერი კეთდებოდა იმიტომ, რომ შსს, ახალი ხელისუფლებისა და მინისტრის პირობებში მონსტრად წარმოეჩინათ. მათ უნდოდათ, დაეთესათ საზოგადოებაში აზრი, რომ ისეთი პოლიცია კი არ გვყავს, სააკაშვილის დროს რომ იყო, არამედ კაციჭამიები. სწორედ მერაბიშვილის დატოვებული დივერსანტები და საბოტაჟნიკები აკეთებდნენ ამას"**

ის შემთხვევაში, ვინ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს, რა ობიექტები უნდა დაიკავონ და შეიარაღებული მოქმედებები დაიწყონ. კიდევ აქვთ ასეთი მიმართულება - ვაშაძესა და ონიანს დაევალა ყოფილი „ზონდერჯგუფების" მობილიზება, რომლებიც თავის დროზე არ-გარწმუნებთ, ყველა დეტალი მათი გეგმისა, ყველა სამალავი ჩემთვის ცნობილია. მოგახსენეთ, რომ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები არიან ეს ადამიანები და მათ აქვთ იარაღი. ძირითად ბირთვს წარმოადგენს 50 მოქმედი ოფიცერი, რომლებზეც სააკაშვილის ხელმოწერით გაიცა საბრძოლო იარაღი, პისტო-ხელებდაკრეფილი მეომრები, შევქმნით პატრიოტთა ჯგუფებს, რომლებიც ყველა რაიონსა და ქალაქში ცხოვრობენ. ჩვენ მაქსიმალურად ვაკონტროლებთ „ნაციონალების" გადაადგილებებსა და მოქმედებებს. როცა ისინი იქნებიან შტაბებში, რა ტიპის დავალებებსა და განკარგულებებს მიიღებენ, ამ ტიპის ინფორმაციებსაც გაგვაგებინებენ. ამიტომ ხმამაღლა ვაცხადებ, თუ „ნაციონალური მოძრაობა" გაბედავს ამბოხებას და ძალოვანები ამის წინასწარ ჩახშობას ვერ მოახერხებენ, ჩვენ დავიწყებთ მათ განადგურებას. როცა ქვეყანა და მოსახლეობა დგას საფრთხის ქვეშ, აქ კანონზე აღარაა საუბარი, არც იმაზე, რომ ხვალ დამიჭერენ. მირჩევნია ამ ხალხის განეიტრალება მოხდეს, რომ ზიანი არ მიადგეს ქვეყანას, არა უშავს, გამიშვან ციხეში. როცა ისინი იარაღის ასაღებად მივლენ, ჩვენ ავითვისებთ მათ იარაღს და გავანადგურებთ საკუთარივე იარაღით.

**— სერიოზული ბრალდებებია. რა მტკიცებულებები გიჭირავთ ხელში?**

– ყველაფერი უტყუარია, რაც უნდათ, თქვან, შეიტანონ განცხადება სასამართლოში, მიჩივლონ, თუ უნდათ ტრიბუნალზე შეიტანონ ჩემი საქმე. მათ დაველაპარაკები კონკრეტული მასალების საფუძველზე. მე ვამბობ, რომ მოქმედი ოფიცრები არიან მზადყოფნაში, რამდენიმე გვარსაც გეტყვით. ვადამდე პოლკოვნიკობა მიენიჭა რამდენიმესაც მარგველაშვილის დროს. რატომ არ გამოიძია მათი წარსული პრეზიდენტმა, სანამ წოდებას მიანიჭებდა? მათ შორის 10 კრიმინალია. მონაწილეობა აქვთ მიღებული მიტინგების დარბევებში, ადამიანების ცემაში, ოფიცრების დახოცვაში. როგორ შეიძლება, მთავარსარდალმა ისეთ ადამიანებს მიანიჭოს წოდება, რომლებიც დღეს კი არ უნდა მუშაობდნენ სარდლებად, სასამართლოში მოსამართლეს უნდა სცემდნენ პასუხებს. მაგალითად, კერესელიძე ახალაიას მარჯვენა ხელი იყო, კრიმინალურ ბრძანებებს ასრულებდა.

**— კონკრეტულად?**

– მაგალითად, ასეთს: ბაზაზე ოფიცრები გააშიშვლა და 5 საათი სიცივეში ამყოფა, ერთ-ერთს ბენზინი მიასხა და დაწვის იმიტაცია შეუქმნა, არსებობს უტყუარი ინფორმაცია, რომ მას ბრალი მიუძღვის აფხაზეთის ომის ვეტერანის მალხაზ კობერიძის სიკვდილში, რომელიც სამორიგეოში იქნა ნაპოვნი. ის იყო ნაცემი. ამგვარი წარსული აქვს მოწონელიძეს, ჭელიძეს, ურიდიას, ფოჩხუას. ესენი ყველა ნიღბებით მოქმედებდნენ.

**თუკი ტრისტან წითელაშვილის მიერ ხსენებულ პირებს ბრალდებებზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირების სურვილი ექნებათ, „ალია" მათაც მოუსმენს.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## მესტიაში გერმანელი ტურისტები დააყაჩაღეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ

მესტია-მულახის საავტომობილო გზაზე ორმა შეიარაღებულმა პირმა გერმანიის სამი მოქალაქე დააყაჩაღა. შემთხვევა 15 სექტემბერს საღამოს, დაახლოებით 22:00 საათზე მოხდა.

არსებული ინფორმაციით, თავდამსხმელებმა წაიღეს ფული, აპარატურა და ტანსაცმელი. ერთ-ერთ ტურისტს ფიზიკურად გაუსწორდნენ და სასტიკად აწამეს, რომელიც შემდგომ რეანიმობილით მძიმე მდგომარეობაში თბილისში გადაიყვანეს.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 179-ე, ყაჩაღობის მუხლით მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

## ოზურგეთში მდინარეში ავტომობილი გადავარდა




ოზურგეთი-ჩოხატაურის საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. სოფელ ძიმითთან გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი „ვოლგა", რომელშიც მამაკაცი და ქალბატონი იმყოფებოდნენ, მდინარე ბახვისწყალში ჩავარდა. ქალბატონი სამედიცინო დაწესებულებაში, შოკირებულ მდგომარეობაში გადაიყვანეს.

შსს-ს განცხადებით, ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ავტობანი რიკოთამდე 2018 წლამდე ვერ მივა



ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე, რომელიც რიკოთამდე 2014 წლის ბოლოს უნდა მისულიყო დიდი ჩამორჩენაა. როგორც ირკვევა, ამ გეგმას შესრულება 2018 წლამდე არ უწერია. ის კი არადა, წლევანდელი გეგმის შესრულება ეჭვქვეშაა, რასაც ადასტურებს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ათვისების გრაფიკაც. 7 თვეში მხოლოდ 131 მილიონი ლარის გახარჯვა მოხერხდა.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგვიანების მოტივი ახალი ტენდერების გამოცხადება გახდა. პრობლემა გაამწვავა რუისი-აგარის მონაკვეთის სირთულეებმაც. ახლა ის უკვე დაძლეულია და ამ მონაკვეთზე აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს.

რუისი-აგარის მონაკვეთზე კონტრაქტის ღირებულება 70 მილიონ ლარამდეა, ხოლო აგარიდან ზემო ოსიაურის მონაკვეთზე – 105 მილიონი ლარი. (ნიუპოსტი)

# ალეკო ელისაშვილი: „მე მაქვს კონკრეტული სქემა და გეგმა, როგორ გავაძევოთ ქალაქიდან „სითი პარკი“



**„ალიას“ ესაუბრება თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი:**

**— ალეკო, ადრე განაცხადეთ, რომ 2 კვირაში „სითი პარკისა“ და თბილისის მერიის ყოფილი ხელმძღვანელების კორუფციული გარიგებების დამადასტურებელ დოკუმენტებს გაასაჯაროებდით. გავიდა დათქმული 2 კვირა და ეგ დოკუმენტები ჯერ არ გამოგიტანიათ სააშკარაოზე. რა ხდება?**

– კი, 2 კვირა გავიდა, მაგრამ კიდევ 2 კვირა გავიდეს სჯობს და სრულყოფილი დოკუმენტაცია გამოვამზეურო. დოკუმენტაციის ნაწილი უკვე მომაწოდეს, მაგრამ დამატებით მასალებს კიდევ ველოდები. როცა ყველა დოკუმენტი ხელთ მექნება, ყველაფერს საჯაროს გავხდი.

**— ამ ვადის გადაწევასთან, კავშირში ხომ არ არის მერიის მიერ „სითი პარკისთვის“ მიცემული ერთთვიანი ვადა, რომ კომპანიამ მერიას ხელშეკრულების ახალი პროექტი წარუდგინოს? ეს ვადა სექტემბრის ბოლოს იწურება.**

– არა, ნებისმიერ შემთხვევაში გამოვაქვეყნებ ამ დოკუმენტებს. თუმცა, კი ველოდები, რა მოხდება ამ თვის ბოლომდე, ვნახოთ ერთი, „სითი პარკი“ რა სახის ხელშეკრულებას წარმოუდგენს მერიას. თუმცა, ეს ჩემს პოზიციას არ შეცვლის. „სითი პარკი“ უნდა გავაძევოთ ქალაქიდან და მისი წარსული საქმიანობა, სამართალდამცავებმა უნდა შეისწავლონ.

**— თუმცა, თუ მერიამ „სითი პარკს“ ცალმხრივად გაუწყვიტა კონტრაქტი, მაშინ კომპენსაციის სახით რამდენიმე მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს ამ კომპანიას. არც ისე იოლი გასაძევებელი უნდა იყოს.**

– მე ვიცნობ მაგ კაბალურ მუხლს და გპირდებით, „სითი პარკი“ უპრობლემოდ წავა თბილისიდან, მერია მინიმალური დანაკარგებით გაუშვებს ამ კომპანიას. მთავარია, ეს მერიის ხელმძღვანელობამ მოინდომოს. ეს როგორ უნდა გაკეთდეს, მე კარგად ვიცი, კონკრეტული სქემა და გეგმა მაქვს შემუშავებული. ამ ეტაპზე ამის შესახებ, მით უფრო დეტალებზე, ვერ ვილაპარაკებ. აი, როცა იმ დოკუმენტაციას გამოვამზეურებ, ზემოთ რომ ვილაპარაკეთ, ამ გეგმის შესახებაც მერე ვიტყვი.

**— ალეკო, იცით, ალბათ, „სითი პარკმა“ ავტომფლობელები უსამართლოდ რომ დააჯარიმა 10-10 ლარით, აქაოდა, ვინც ახალი სანომრე ნიშნები აიღეთ, რატომ არ შეგვატყობინეთ დროულად, რომ ავტოპარკირების საშვზე გადაგვეტანა ეს ახალი ნომრებიო. არადა, სანომრე ნიშნები 1-ელ სექტემბერს დაიწყო, „სითი პარკმა“ ეს განცხადება 10 სექტემბერს გააკეთა. 10 დღე მართლა ატყავა ხალხი კომპანიამ და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.**

– კი, ახლა განსაკუთრებით გავეშებულია ეს კომპანია, ადრე რაც არ უქნია, იმას აკეთებს, ყველას აჯარიმებს, კანონით ეკუთვნის თუ არა ჯარიმა ადამიანს. მე რომ დავით ნარმანიას ადგილზე ვიყო, მოვუწოდებდი ამ კომპანიას, რომ შეაჩეროს ეს პროცესი და ხალხს ადამიანურად მოეპყრას. რაღაც პრევენციული განცხადება მაინც უნდა გააკეთოს ნარმანიამ. ეს იყო უკანონო ჯარიმები, „სითი პარკს“ თავად უნდა ეზრუნა იმისთვის, რომ ეს ყველაფერი მოეგვარებინა, თავად მოება თავი, ხალხისთვის მიეცა დროულად ეს ახალნომრიანი ავტოპარკირების საშვები. ეს ბოლო ჯარიმები, ეს 10-ლარიანი ჯარიმები, მგონი, მართლა ბოლო წვეთი იყო ხალხის მოთმინების ფიალაში. მეც მაგრად მომეშალა ნერვები, როცა ეს გავიგე. აქედან გამოსავალი ის არის, რომ მერიამ აღკვეთოს „სითი პარკის“ თარეში და და ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ხალხს ავტომატურ რეჟიმში დაუბრუნდეს ეს ფული. მოვუწოდებ თბილისის მერს, დავით ნარმანიას, რომ დაიცვას ეს ხალხი და იზრუნოს იმისთვის, რომ ამ უსინდისო კომპანიამ ხალხს ეს უკანონოდ წაგლეჯილი ფული უკან დაუბრუნოს. დაჯარიმების პროცესი კი შეაჩეროს.

**— ალეკო, პრესით გაკეთებული მოწოდება კარგია, მაგრამ უშუალოდ ხომ არ დაუკავშირდებით დავით ნარმანიას, ან მერიის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელობას, მათ ხომ არ ეტყვით ამ ყველაფერს, რაც ახლა მითხარით?**

– აუცილებლად შევუთვლი დავით ნარმანიას, რომ პრევენციული განცხადება გააკეთოს და მერიაში ვისაც ევალება, იმ ხალხსაც დაველაპარაკები, დაიცვან უდანაშაულო მოქალაქეები „სითი პარკისგან“. თუმცა, „ალიას“ მეშვეობითაც მოვუწოდებ, რომ ეს გააკეთონ.

**— ერთი სკანდალური ამბავი უნდა შეგახსენოთ. 2006 წელს, როცა თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი იყო, ამ სამსახურიდან ასეულობით მილიონი ლარი გაიფლანგა. ამის გამო სუბელიანი ერთი დღე „მოდულის“ შენობაშიც ჰყავდათ დაკითხვაზე და დაჭერას გიგი უგულავამ გადაარჩინა. მერე ამ მასალებს გრიფი „საიდუმლო“ დაედო. დღემდე გაურკვეველია, სად გაქრა მაშინ ეს უზარმაზარი თანხები, რა ბრალი მიუძღვით ამაში კობა სუბელიანს, გიგი უგულავასა და მერიის სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებს. არ მოვიდა დრო, მოიკითხოთ ის საქმე, როგორც საკრებულოს წევრმა, რომელიც ჟურნალისტობისას მეტად გაღელვებდათ?**

– სიმართლე გითხრათ, მე ველოდი, რომ ამ მასალებს ეგ „საიდუმლო“ გრიფი აეხსნებოდა, სამართალდამცავები დაიწყებდნენ ამ დოკუმენტაციის შესწავლას, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა და შესაბამისად, განცხადებასაც გააკეთებდნენ, რა და როგორ მოხდა მაშინ, კონკრეტულ ეჭვმიტანილებს თუ ბრალეულ პირებსაც დაასახელებდნენ ამ მართლა სკანდალური საქმისას. ეს ძალიან სერიოზული დოკუმენტია, 300 მილიონ ლარზე იყო ლაპარაკი. ცოტა ხანს დაველოდები, თუ საგამოძიებო სამსახურებმა ისევ არაფერი გააკეთეს ამ მიმართულებით, მაშინ მოვითხოვ თბილისის მერიისგან ამ დოკუმენტაციას, ჯერ იმის განმარტებას, რატომ ედო გრიფი „საიდუმლო“ და მერე, ამ გრიფის ახსნასა და სრული დოკუმენტაციის გასაჯაროებას მოვითხოვ. ეს თემა ნამდვილად არ დამვიწყებია, ძაღლის ნაკბენივით მახსოვს ეს საქმე. „ქართულმა ოცნებამ“ თუ წაუყრუა, მე ნამდვილად არ წავუყრუებ ამ საქმეს.

**— უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით ახალი ხომ არაფერია? წინასაარჩევნოდ ამ მიმართულებით ძალიან აქტიურობდით და არაერთი მშენებლობის შეჩერებას მოითხოვდით თბილისში, თანაც დაუყოვნებლივ. დიდი ხანია ამ თემაზე აღარაფერი გითქვამთ. თუმცა, ერთი ის ვიცით, რომ მერიაში უნებართვო მშენებლობების შესასწავლად, კომისია შეიქმნა, მაგრამ ჯერ ამ კომისიის მუშაობის შესახებ არაფერი არ გვსმენია.**

– ძალიან უკმაყოფილო ვარ მერიის არქიტექტურის სამსახურით, მეტ აქტიურობას ველოდი მათგან, ველოდი, რომ რამდენიმე მშენებლობის ნებართვა უკვე გაუქმებული იქნებოდა, მაგრამ ასეთი არაფერი მომხდარა. თუ ვნახავ, რომ მერია კვლავაც ფეხს ითრევს და ამ მხრივ არ გააქტიურდა, მაშინ უკვე ხმამაღლა დავიწყებ ლაპარაკს და გავარკვევ, რაშია საქმე, რატომ ანდომებს მერია იმ საქმეების გადაჭრას ამდენ ხანს, რომელთა მოგვარება რამდენიმე დღეში იყო შესაძლებელი. და საერთოდ, ისიც გასარკვევია, აუქმებს კი მერიის არქიტექტურის სამსახური იმ უკანონო მშენებლობებს, რომელთა შესახებაც ადრე, არა მხოლოდ მე ვლაპარაკობდი ხმამაღლა. მეუბნებიან, რომ აი, ხვალ, აი, ზეგ... ჯერჯერობით ისევ მოლოდინის რეჟიმში ვარ, მაგრამ მეც დამელია ეს მოთმინება და ცხადია, იმ ხალხსაც, რომლებიც ამ მშენებლობების შეჩერებას სამართლიანად ითხოვენ. დიდხანს ასე ყოფნას არ ვაპირებ. კი, ვიცი, რომ კომისიის შექმნას დრო სჭირდება, რაღაც პროცედურებია დასაცავი, მაგრამ ასეთი უსაშველო არაფერი მინახავს. ეს საქმე იწელება, მშენებლობებს აგრძელებენ და ბოლოს მიაღწევენ იმ პარამეტრებს, რომლის შემდეგ მათ აშენებულ ნაგებობას ველარ დაუნგრევ. ამით კი თბილისს ათეულობით ახალი და მახინჯი შენობა შეემატება, უამრავ თბილისელს კი ამ შენობების გამო სამუდამო პრობლემები შეექმნება.

**ლევან ჯავახიშვილი**

577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აგვისტოში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა



2014 წლის აგვისტოში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 130.1 მლნ აშშ დოლარი (225.1 მლნ ლარი) შეადგინა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეს 1.2 მლნ აშშ დოლარით (2.0 მლნ ლარით), ანუ 0.9 პროცენტით მეტია 2013 წლის აგვისტოს ანალოგიურ მაჩვენებელზე.

მათივე განმარტებით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92.1 პროცენტი იმ 11 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ აგვისტოში 1.5 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 11 ქვეყანაზე გასული წლის აგვისტოში მთელი ფულადი გზავნილების 92.4 პროცენტი მოდიოდა.

უფრო კონკრეტულად, ფულადი გზავნილების მოცულობის მიხედვით, ქვეყნების სტატისტიკური მაჩვენებელი ასეთია: რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, თურქეთი, ესპანეთი, უკრაინა, ისრაელი, გერმანია, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და სხვა ქვეყნები.

გარდა ამისა, ოფიციალური ინფორმაციით, 2014 წლის აგვისტოში საქართველოდან საზღვარგარეთ 14.6 მლნ აშშ დოლარი (25.2 მლნ ლარი) გადაიგზავნა, მაშინ როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი 13.5 მლნ აშშ დოლარს (22.4 მლნ ლარს) შეადგენდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რადას დეპუტატი ნაგვის ურნაში ჩააგდეს



უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატი ვიტალი ჟურავსკი უმაღლესი რადის მიმდებარედ ადამიანების ჯგუფმა დაიჭირა და ნაგვის ურნაში ჩააგდო. დეპუტატს ურნიდან ამოსვლის საშუალებას არ ძლევდნენ და მას ადანაშაულებდნენ, რომ მისნაირების გამო მათი ძმები და მეგობრები იღუპებიან. მთელი ინციდენტის განმავლობაში დეპუტატს თავისი ჩანთისთვის ხელი არ გაუშვია და თავი შეძლებისდაგვარად მშვიდად ეჭირა.

ჟურავსკი ცნობილია როგორც „ცილისწამების შესახებ“ სკანდალური კანონპროექტის ავტორი, რომელმაც ჟურნალისტებს შორის დიდი მღელვარება გამოიწვია. მასობრივი ინფორმაციის ინსტიტუტმა და დამოუკიდებელმა მედიის წარმომადგენელთა პროფკავშირმა ის 2012-2013 წლებში უკრაინული მედიის მტრების ათეულში დაასახელა.

ჟურავსკი რეგიონების პარტიის ყოფილი წევრია და ახლა მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას როგორც დამოუკიდებელი, კანდიდატი ისე აპირებს.

დეპუტატი რადას შენობიდან შესვენებაზე იყო გამოსული, რა დროსაც ის აქციის მონაწილეებმა დაიჭირეს. (ნიუპოსტი)

# გვიან ღამით ფოიერვერკების სროლაზე ჯარიმები დაწესდება



დედაქალაქის საკრებულო, უახლეს დღეებში, ქალაქის ტერიტორიაზე, საზოგადოებრივ სივრცეში, ხმაურზე რეგულაციების შემოღებაზე მუშაობას დაიწყებს. საუბარია რესტორნებში, კლუბებსა და ბარებში ხმამაღალ მუსიკასა და ხმაურზე. ასევე, ფოიერვერკებზე, რომელსაც ხშირად ღამის საათებში ისვრიან.

სიახლის თანახმად, თუკი თქვენს მიერ შექმნილი ხმაური, დადგენილ ჩარჩოებს გასცდება და შესაბამისი სამსახურების მიერ ხულიგნობად დაკვალიფიცირდება, ამ ხმაურისთვის კანონის ძალით დაისჯებით. საკრებულოში თვლიან, რომ ღამის გარკვეულ საათებში ხმაურისთვის ჯარიმა სოლიდური უნდა იყოს. საკითხზე საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და იურიდიულ კომისიები მუშაობენ.

**„ალიას“ თბილისის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, თედო კოზახიძე ესაუბრა:**

– თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახური, სხვა ფუნქციებთან ერთად, ხმაურის ნორმების დაცვის კონტროლს ახორციელებს, მაგრამ დედაქალაქში არსებული დაწესებულებებისა და ფიზიკური პირების მიერ ხმაურის ნორმების დარღვევაზე ზედამხედველობის სამსახურს სანქციების გამოყენება არ შეუძლია. კონკრეტული სანქციების გამოყენებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს.

**— როგორ დარეგულირდება საკითხი, გაქვთ მონახაზი?**

– სამსახურის უფლებამოსილებაშია, კონკრეტული მოქალაქის ჩივილის შემთხვევაში ადგილზე მივიდეს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი. სპეციალური ხელსაწყოს საშუალებით გაზომოს ხმაურის დონე დეციბალებში და თუ დაადგენს, რომ ხმაურის დონე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ ნორმებს სცდება (საუბარია 40 დეციბალზე), ანუ ხმაური ფიქსირდება საღამოს 11 საათიდან დილის 7 საათამდე, ასეთ შემთხვევაში ხმაურის შემქმნელი დაჯარიმდება.

**— ბატონო თედო, რა სახის ხმაურზეა საუბარი?**

– ხმაურს არ აქვს მნიშვნელობა, ეს მშენებლობით იქნება გამოწვეული, მუსიკით, ყვირილით თუ სიმღერით. ხმაური ხმაურია, რიგ შემთხვევებში კი ეს ხმაური ხულიგნობაა. გააჩნია, როგორ ჩარჩოებში მოვაქცევთ.

**— სანქციების საკითხი დაკონკრეტებული გაქვთ, თუ არის მიახლოებით განსაზღვრული ჯარიმების ფორმა და ოდენობა?**

– დედაქალაქის საკრებულო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაინტერესებულ უწყებებთან ერთად – გარემოს დაცვის სამინისტროსთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურთან და სხვა უწყებებთან ერთად, რომლებსაც კონკრეტულად ეხებათ ეს საკითხი, შეიმუშავებს წესებს და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება მივმართოთ პარლამენტს, რომ შესაბამისი სანქციები დაწესდეს.

ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული კონკრეტული ჯარიმა, ვიმსჯელებთ. ჯარიმა არ იქნება კაბალური, მაგრამ არც ფორმალური იქნება.

ასევე, ვიმსჯელებთ პროცედურების წესებზე. დღეს მოქმედი ნორმები არ არის ქმედითი, ამიტომ ეს მიმართულება დაიხვეწება და ისეთ ნორმებში ჩადგება, რომ პიროვნებისთვის, რომელსაც კონკრეტული საკითხი აწუხებს და ზიანს აყენებს, შესაბამისმა უწყებებმა შეძლონ, ქმედითად და ჯეროვნად მოახდინონ რეაგირება.

**— თუ დაჯარიმებული ჩათვლის, რომ უსამართლოდ სჯიან, და ასეთი შემთხვევები, ალბათ, იქნება, რა უნდა მოიმოქმედოს?**

– ასეთ შემთხვევაში, ამ დაჯარიმებულს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და იქ გაარკვიოს საკითხი.

**— მარტო ბარ-რესტორნებში არ არ არის საქმე, როცა ქალაქის ცენტრში ოფიციალურ კონცერტებს მართავენ, რომელიც ხშირად შუაღამემდე გრძელდება, ესეც აწუხებს მოსახლეობას. ამას რას უპირებთ, რანაირად დაიცავთ სამართლიანობის პრინციპს?**

– როცა ქალაქის ცენტრებში კონცერტები კეთდება, ამაზე შესაბამისი რეგულაციაა, წინასწარ აფრთხილებენ მერიაში, თუ თბილისზეა საუბარი. ეს რეგულაციები უკვე არსებობს.

**— როგორ რეგულირდებოდა ეს საკითხი დღემდე და რატომ არ იყო ქმედითი?**

– ამ საკითხს არეგულირებდა და ჯერჯერობით არეგულირებს საკრებულოს 2001 წლის შესაბამისი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება თავისი ნორმებით, უკვე მოძველებულია, არ მოდის ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

**P.S. ინიციატივა საკრებულოში ერთი დღის შესულია. უახლოეს დღეებში საკითხის არსებითი განხილვა დაიწყება. ხოლო როდის შევა სიახლე ძალაში, ეს უკვე შეთანხმების საკითხია. თუ საკანონმდებლო დონეზე შეიცვლება რამე, მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ასეთ შემთხვევაში, საკითხს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოც განიხილავს.**

**დიანა ლიპარტელიანი**
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## უკრაინაში კონფლიქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა იზრდება



გაეროს მონაცემებით, უკრაინაში კონფლიქტის შედეგად 3 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და 8 000-ზე მეტი დაშავდა.

როგორც ჰუმანიტარული საკითხების კოორდინაციის სამმართველოს ანგარიშშია ნათქვამი, „11 სექტემბრის მონაცემებით, უკრაინის აღმოსავლეთში, სულ მცირე, 3 171 ადამიანი, მათ შორის, მინიმუმ, 27 ბავშვი დაიღუპა, ასევე დაშავდა 8061 ადამიანი, მათ შორის – სულ მცირე, 56 ბავშვი“.

ანგარიშის თანახმად, საბრძოლო მოქმედებების გამო 366 900-მა უკრაინელმა ქვეყანა დატოვა, აქედან 325 900-მა რუსეთში იპოვა თავშესაფარი. (ფრონტნიუსი)

## სისხლის სამართლის კანონმდებლობაში „აგრესიული ომის“ დეფინიცია იცვლება




სისხლის სამართლის კანონმდებლობაში „აგრესიული ომის“ დეფინიცია იცვლება და კონკრეტდება. ცვლილებების თანახმად, ტერმინი „აგრესიული ომი“ იცვლება „აგრესიის აქტით“, რომელიც განმარტებულია, როგორც სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ცვლილებების თანახმად, პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ისეთი აგრესიის აქტის დაგეგმვის, მომზადების, დაწყების ან წარმოებისთვის დაეკისრება, რომელიც თავისი ხასიათით, სიმძიმითა და მასშტაბებით გაეროს წესდების დარღვევას წარმოადგენს.

ამასთანავე, კონკრეტდება, რომ „აგრესიის აქტის“ დაგეგმვისთვის, მომზადებისთვის, დაწყება-წარმოებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს, რომელსაც თავისი მდგომარეობის გამო, სახელმწიფოს პოლიტიკური ან სამხედრო მოქმედებების ეფექტური კონტროლის ან ხელმძღვანელობის შესაძლებლობა გააჩნია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## იანვარ-აგვისტოში საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ 7411 მლნ დოლარი შეადგინა



2014 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 7411 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 12 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 1914 მლნ აშშ დოლარი იყო (9 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 5497 მლნ. აშშ დოლარი (13 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წლის იანვარ-აგვისტოში 3584 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 48 პროცენტი შეადგინა. „საქსტატის“ ინფორმაციით, საგარეო ვაჭრობის დეტალური მაჩვენებლები მიმდინარე წლის 24 სექტემბერს გამოქვეყნდება. (ინტერპრესნიუსი)

## ქუთაისის მერიამ ავტომანქანები გააჩუქა



ქუთაისის საკრებულომ ქალაქის მერიის ბალანსზე არსებული ავტომანქანების გასხვისების საკითხი განიხილა. დეპუტატების გადაწყვეტილებით, მერიის საკუთრებაში არსებული სპეცავტომანქანა „ზილი“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობას პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაეცემა.

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას ასევე უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცემა მერიის კუთვნილი კიდევ ერთი ავტომანქანა „ტოიოტა ჰაილუქსი“. (news.ge)

# სკანდალური დაპირისპირება პარლამენტის განათლების კომიტეტში

## რა ინფორმაციას მიაწვდიან ღარიბაშვილს განათლების მინისტრზე

**რით გადარია განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ვანო კილურაძე და რატომ უჩივის პროფესიული განათლების პროფკავშირების თავმჯდომარე დენის დავითაშვილი?**



„ალიას“ ესაუბრება **დენის დავითაშვილი:**

– 9 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში განიხილეს. ამ სხდომას მეც ვესწრებოდი, რადგანაც სხდომა საჯაროა. განათლების მინისტრის პირველი მოადგილის, ქეთევან ნატრიაშვილის პასუხები არ შეესაბამებოდა იმას, რასაც კომიტეტის თავმჯდომარე, ვანო კილურაძე ეკითხებოდა.

**— და რა კითხვები იყო ასეთი?**

– კილურაძე ეკითხებოდა ნატრიაშვილს, ამ ბიუჯეტის შესაბამისად, რატომ არ იყო ათვისებული გეგმიური თანხები პროფესიული განათლებისთვის და ა.შ. ნატრიაშვილის პასუხებმა ყველა გააოცა და ჭკუიდან გადაიყვანა. როცა კითხვა დაისვა, 6 მილიონიდან რატომ არის ათვისებული მხოლოდ 4,5 ნახევარი პროფესიულ განათლებაში, მინისტრის მოადგილემ პირდაპირ აჯახა დეპუტატებს, ეს იმის ბრალია, რომ ჩვენ ვაუჩერული დაფინანსება ვაწარმოეთ მესამე კვარტალშიო. ანუ მეორე კვარტალში დასაფინანსებელი ვაუჩერული დაფინანსება, რითაც ხელფასს იღებენ 18 საჯარო კოლეჯის პედაგოგები და ასევე უნდა დახარჯულიყო პროფესიული სწავლების მასალებისათვის, ნატრიაშვილმა თქვა, რომ თურმე არ გადაუხდიათ პედაგოგებისთვის სამი თვის მანძილზე ხელფასები და ასევე არ შეუძენიათ მასალები და ეს ტყუილია. ხელფასები თავის დროზე გაიცა, მაგრამ თუ მასალები არ შეიძინეს, ეს დიდი დანაშაულია, რადგანაც გაკვეთილებს ისე ვერ ჩაატარებ სრულფასოვნად, თუკი ეს საკითხი მოუგვარებელია. აქედან უკვე დაიძაბა სხდომა, ანუ ყველა დეპუტატმა დაინახა, რაც ხდებოდა და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ჩემკენ იყურებოდნენ და ხელს ჰაერში ატრიალებდნენ, რა ხდებაო, აქედან კი მე ასევე ხელით ვაჩვენე, ორი აგური უნდა გვეჭიროს და თავში ვიცემდეთ, ნატრიაშვილი აქამდე რომ მინისტრის მოადგილეა-მეთქი. კილურაძის მოტყუება რთულია, განათლების სამინისტროს მესვეურებს უკვე არ ცნობს, რადგანაც ხედავს, რომ ეს ხალხი საქმეს ვერ აკეთებს, მეცნიერება დაღუპეს, პროფესიული განათლება საერთოდ მიწის ქვეშაა ჩამარხული, ყველა ხედავს, სკოლებსა და უმაღლესებში რა ხდება, მაგრამ ამის შემდეგ კომიტეტში მთელი სერიალი წავიდა მეცნიერებასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ კილურაძე მეცნიერების ლობია და ამიტომ ნატრიაშვილს შეეკითხა, თქვე კაი დედმამიშვილებო, ბოლოს და ბოლოს როდის დაუნიშნავთ მეცნიერებს ხელფასს 200 ლარზე მეტსო და მოადგილე ამაზე პასუხობს: ჩვენ ამაზე ვმუშაობთო. ამაზე კილურაძე გადაირია, 2012-13 წელი რას მიკეთებთ? რას მუშაობთ? რა, არც 2015 წლისთვის არ გაქვთ ხელფასის მომატება გათვალისწინებულიო? ყველამ დაინახა, რა დამოკიდებულებაა სამინისტროში მეცნიერებასთან დაკავშირებით. კილურაძემ იკითხა, მათემატიკის ინსტიტუტს როდის გვიბრუნებთ მეცნიერებსო და ნატრიაშვილმა მშვიდად უპასუხა, მანდ 4 სიპია შეყვანილი და რა ვუყოთო. ამაზე კილურაძემ იყვირა, როგორც შეიყვანეთ, ისე გამოიყვანეთ და მეცნიერებს დაუბრუნეთ შენობაო. ახლა რა ხდება: ყოფილა კიდევ მეორე მათემატიკის ინსტიტუტი და ვანომ სხდომაზე უთხრა ნატრიაშვილს: რომ აცხადებდით, გაყიდულია ეს მეორე შენობაც, თურმე არც ფულია გადახდილი და არც არაფერი და რატომ არ უშვებთ იმ მეორე შენობაში თანამშრომლებს, ყოველდღე რომ მოდიან და კარებთან დგანანო.

**— ანუ, კილურაძემ თავის გამართლების საშუალება არ მისცა ნატრიაშვილს?**

– არანაირი! თუმცა, ნატრიაშვილი ძალიან ჯიუტია და უნდოდა კიდევ ტყუილების თქმა, რაზეც კილურაძემ უთხრა, თქვენ ებრძვით მეცნიერებასო და ამით შეაწყვეტინა ნატრიაშვილს შესაძლო თავის მართლება. მერე კულუარებში დეპუტატები ხმამაღლა ამბობდნენ, ეს ვინ ყოფილანო. სამინისტროში არიან საბოტაჟნიკები და ჩემთვის ეს გასაგებია.

**— საბოტაჟნიკები? ეს სერიოზული ბრალდებაა!**

– სწორედ საბოტაჟნიკები და ამის დამამტკიცებელი საბუთები მაქვს. მაგრამ მანამდე გეტყვით, რომ, როცა ორი დღის წინ პრემიერ-მინისტრი და სანიკიძე ერთად იჯდნენ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, პრემიერმა აღნიშნა პროფესიული განათლების საჭიროება, რაზეც სანიკიძე დაიჯღანა. მეორეჯერ დაიჯღანა, როცა მასთან შეუთანხმებლად რექტორმა თქვა, რომელიღაცა დელეგაცია ჩამოდის და სანიკიძეს შევახვედრებო. ანუ, მინისტრს არ ესიამოვნა, როგორ ბედავს დამოუკიდებლად უნივერსიტეტის რექტორი და კონტექსტებს ამყარებს საერთაშორისო უნივერსიტეტთან. საერთოდ, სანიკიძე ყოველთვის იცილებს თავიდან ყოველგვარი პრობლემის მოსმენას. ხუთჯერ მივმართე სხვადასხვა შეხვედრებზე, რომ შემხვედროდა, ვისაუბროთ პრობლემაზე-მეთქი და პასუხი იყო, პროფესიულ განათლებას მართავს მოადგილე ნატრიაშვილი და მას ესაუბრეთო. განათლების მინისტრი ატყუებს პრემიერს.

**— რა მოატყუა?**

– სანიკიძე აცხადებს პროფესიული კოლეჯების დატვირთვაზე და პრემიერს გადავეცი დოკუმენტები და ვუთხარი, თქვენ უნდა შექმნათ კომისია, რაც იმუშავებს ამ სისტემის კრიზისიდან გამოყვანაზე-მეთქი. იმედი მაქვს, პრემიერს კიდევ შევხვდები ამ საკითხზე სასაუბროდ.

რაც შეეხება საბოტაჟს, კომისიამ დავუდეთ რეკომენდაცია 26 კოლეჯის დაფუძნებაზე, საიდანაც არც ერთი კოლეჯი დღემდე არ ამუშავებულა და ეს არაა საბოტაჟი? კანცელარიას სურდა, შეჯერებინა ჩემს მწარე გამოსვლებთან დაკავშირებით სამინისტროს პოზიცია და ამაზე უწყებამ გამოგზავნა ცილისწამების სერიალი, რომლის არსია, რომ მე, დენის დავითაშვილს, არავითარი ურთიერთობა განათლების სამინისტროსთან არ მქონია და ჩვენ ვაღირსეთ და ველაპარაკებით მასო. ეს ცილისწამებაა, რადგან 2006 წლიდან, როცა ჩვენი პროფკავშირი შეიქმნა, ერთი სემინარი და კონფერენცია არ ჩამიგდია და გამოდის, მათთვის ისტორია იწყება იქიდან, როცა დაინიშნენ განათლების სამინისტროში? მოვითხოვ, იმ პასკვილის გამო, რაც 27 აგვისტოს გაუგზავნა ქეთევან ნატრიაშვილმა პრემიერ-მინისტრს, სახალხოდ მომიხადოს ბოდიში, თორემ მას სასამართლოში ვუჩივლებ და მოვითხოვ სოლიდურ თანხას სახელის შებღალვისთვის. ამ პასკვილის ამოცანაა, ამათ გაიხანგრძლივონ ყოფნა თანამდებობებზე. ეს ნატრიაშვილი, ისე, რომ იცოდეთ, სანიკიძეზე უარესია: ფინანსებს ეს განაგებს და აბსოლუტურად აზრზე არაა არაფერზე. სანიკიძე და მისი მოადგილე – ორივე უცხო ენების სპეციალისტია და „სოროსში“ ისხდნენ მაშინ, როცა მათი მფარველი მარგველაშვილი დარბოდა პარლამენტის შენობაში, მე მაშინ აპარატში ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი, მარგველაშვილს რა კონტაქტები ჰქონდა წინა ხელისუფლებასთან. ვინ იცნობდა ამ ხალხს? აი, იმ სოროებიდან ამოიყვანა ესენი მარგველაშვილმა და მაშინდელი პრემიერი აიძულა, სანიკიძე მინისტრად დაეტოვებინა, რომ მისი გავლენის ქვეშ ყოფილიყო ეს უწყება. ესენი უცოდინარი ხალხია. შეხვედრისას ვეტყვი პრემიერს, როგორ ლობირებენ სანიკიძე და ნატრიაშვილი თავის ახლობლებს და როგორ შემოიყვანეს „სონის“ მოსკოვის ერთ-ერთი ფილიალის წარმომადგენელი საქართველოში და, როგორ ლობირებდა ქეთევან ნატრიაშვილი, რომ ერთ-ერთ პროფესიულ კოლეჯში „სონის“ აეშენებინა უზარმაზარი პავილიონები, რომ მერე აქ ამ ფირმას შემოეტანა იაპონური ტექნიკა, შემდეგ ერთად რომ „ეჩალიჩათ“ და გაეყიდათ. ჩემი ბრძოლის შედეგად და ამაში ინფრასტრუქტურის სამინისტრო მომეხმარა, ხელი შევუშალეთ კოლეჯის ტერიტორიაზე ამის აშენებას და ეს ყველამ არ იცის.

ამის შემდეგ უკვე ვუკავშირდებით განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ნატა ასათიანს, რომელსაც დავითაშვილის ბრალდებები გავაცანით: „რადგანაც ბატონი დენის დავითაშვილი კონკრეტულ შემთხვევებზე საუბრობს მინისტრის პირველი მოადგილის ქეთი ნატრიაშვილის მისამართით, აქედან გამომდინარე, პასუხი პირადად, ნატრიაშვილმა უნდა გასცეს, მაგრამ ის ამჟამად საქმიან მივლინებაშია და ჩამოსვლისთანავე პასუხს თქვენი გაზეთის საშუალებით გასცემს“.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




### თვითმკვლელობა თბილისში — 21 წლის გოგომ 80 აბი „ნოშპა“ დალია

თბილისში 2 დღის წინ საზარელი შემთხვევა მოხდა. 21 წლის გოგომ თავი მოიკლა. როგორ გაირკვა, გოგონამ 80 აბი ნოშპა დალია და სასწრაფოს მისვლამდე გარდაიცვალა. გოგონას მეუღლე და 2 მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

აღნიშნული ფაქტი შინაგან საქმეთა სამინისტროში დაადასტურეს. როგორც უწყებაში განმარტავენ, საქმე აღძრულია 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

### მერკელი პუტინს უკრაინიდან ჯარის გაყვანისკენ მოუწოდებს



გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. მერკელი პუტინს მოუწოდებს, უკრაინიდან სრულად გაიყვანოს ჯარები, რათა საბოლოოდ დასრულდეს კონფლიქტი. მერკელმა რუსეთს ასევე მოუწოდა სამმხრივი მოლაპარაკების გაგრძელებისკენ, უკრაინასა და ევროკავშირს შორის, რათა გადაიჭრას ბუნებრივი აირის საკითხი უკრაინასა და რუსეთს შორის. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### 8 თვის დანაშაულის სტატისტიკა



2014 წლის აგვისტოს თვეში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2405 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1277 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 53,1%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა – 19,27%.

2014 წლის იანვარ-აგვისტოს თვეებში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 17458 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 10583 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 60,62%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -17,05% (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# რა ცვლილებები იგეგმება ქართულ ტელევიზიებში?

ქართულმა ტელეარხებმა ახალი სატელევიზიო სეზონი უკვე დაიწყეს, თუმცა ჯერ არც საეთერო ბადის ცვლილებები დასრულებულა და საკადრო გადაადგილებებიც გრძელდება. ამ დრომდე ვაკანტურია საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის ადგილი, რომელიც მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც სოფო მოსიძე მთავრობის ადმინისტრაციის პრეს-სამსახურის უფროსად დაინიშნა. „ალიასთვის" ცნობილი გახდა, რომ მოსიძის შემცვლელად ისევ ნინო შუბლაძის კანდიდატურა განიხილება. იმის მიუხედავად, რომ მისმა შესაძლო დანიშვნამ ხმაური გამოიწვია, არხის მენეჯმენტს გადაწყვეტილება არ შეუცვლია და ამ დრომდე ერთადერთ კანდიდატურად ამ პოსტზე ნინო შუბლაძეს განიხილავს. ჟურნალისტურ წრეებში საუბრობენ, რომ ამ პოსტს სწორედ ის ჩაიბარებს.

შუბლაძე „ალიასთან" საუბრისას აცხადებს: „მეც ბევრი მეკითხება, რომ სწორედ ჩემს შესაძლო დანიშვნაზე იგებენ. ფაქტია, რომ მე არანაირი შეთავაზება არ მიმიღია. სხვა შემოთავაზებები მაქვს კერძო სექტორიდან, ისიც არ მაქვს გადაწყვეტილი, მედიაში დავრჩები თუ არა". შეკითხვაზე, დასთანხმდება თუ არა მსგავს შეთავაზებას, შუბლაძე ამბობს, რომ არ იცის, რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

„ალიას" სურდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელთან, გიორგი ბარათაშვილთან დაკავშირება, თუმცა მას მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა, სოციალურ ქსელ „ფეისბუკში" მიწერილ ჩვენს კითხვას კი არ გამოხმაურებია.

„ალიასთვის" კიდევ ერთი ინფორმაცია გახდა ცნობილი: „ტვ 3"-ს ბიზნეს-ეკონომიკურ არხად გადაკეთებას უპირებენ. არხის „ნიუსის" ხელმძღვანელი იმედა დარსალია ადასტურებს ამ ინფორმაციას და აცხადებს: „გამოგვიცხადეს, რომ მენეჯმენტი გეგმავს არხის ბიზნესეკონომიკურ არხად გადაკეთებას. გვითხრეს, რომ მოხდება კადრების გადახალისება, ხელახალი კონკურსი და ისე შეირჩევიან თანამშრომლები. კონკურსს გაივლიან ამჟამინდელი თანამშრომლებიც. სხვა მეც არაფერი ვიცი".

**„ტვ 3"-ის დამფუძნებელი და დირექტორი ლალი ეგაძე კი ამბობს:**

– არავის წასვლა არ მოუწევს, უბრალოდ დავიმატებთ ეკონომიკისა და ბიზნესის მცოდნე ჟურნალისტებს, იმიტომ რომ თავიდანვე გვქონდა იდეა, გაკეთებულიყო ეკონომიკისა და ბიზნესის თემაზე ორიენტირებული არხი.

**— როდიდან გავა არხი ეთერში ახალი პროფილით?**

– უახლოეს მომავალში არ იქნება, სავარაუდოდ, ორი თვის შემდგომ დავიწყებთ აქტიურად გადასვლას. გვინდა კასტინგი გამოვაცხადოთ, რომ ავიყვანოთ ეკონომიკისა და ბიზნესის მცოდნე ჟურნალისტები.

**— ამ არხზე მუშაობენ ჟურნალისტები, რომლებიც წლების განმავლობაში აშუქებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებს, ისინი ხომ ასე მალე მიმართულებას ვერ შეიცვლიან, არ მოუწევთ სამსახურის დატოვება?**

– ისინი დარჩებიან, ალბათ, პოლიტიკურ თემებზე, თუ ამის სურვილი ექნებათ.

**— თუ ბიზნესარხად გადააკეთებთ, საინფორმაციო გამოშვება ხომ აღარ იქნება ეთერში, რისთვისღა დარჩებიან?**

– არ ვიცით, როგორ იქნება, შევხედავთ და იმის მიხედვით გადავწყვეტთ დამფუძნებლები.

„ტვ 3"-ის თანამშრომლებისთვის კი ცნობილია, რომ მათ არხის დატოვება თვის ბოლოს მოუწევთ, ვინაიდან ის ჟურნალისტები, ვინც ამ არხზე საინფორმაციო გამოშვებას აკეთებდნენ, საერთოდ ვერაფერს ხედავენ ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების გადაცემებთან.

საეთერო ბადეს ცვლის ტელეკომპანია „ჯი-დი-ესიც", თუმცა ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყებას არ ჩქარობს. შეგახსენებთ, რომ „ჯი-დი-ეს"-ზე ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში დაიგეგმა, რომ ახალი სატელევიზიო სეზონიდან ტელევიზია მაუწყებლობის ლიცენზიის მოდიფიცირებას მოახდენდა (დღევანდელი მონაცემებით, ტელეკომპანია სპეციალიზებული (გასართობი) სიხშირული მაუწყებლობის ლიცენზიას ფლობს. – შ.გ.) და ახალი სატელევიზიო სეზონიდან ეთერში ნიუსებს გაუშვებდა. გარდა ამისა, დაიგეგმა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტოქშოუ, რომლის თანაწამყვანი ჟურნალისტი და ამჟამად „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" კომუნიკაციების დირექტორი ეკა ბერიძე უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ექსპრემიერმა სატესტო გადაცემა ჩაწერა, არ მოეწონა და ტოქშოუს გაკეთება გადაიფიქრა. როგორც „ალიასთვის" გახდა ცნობილი, არანაირი გადაცემის ჩაწერას ადგილი არ ჰქონია. ივანიშვილმა გადაცემის გაკეთებასთან დაკავშირებით ჟურნალისტებსა და მედიაექსპერტებს ჰკითხა აზრი, მათ კი ივანიშვილს გადაწყვეტილება დაუწუნეს. როგორც ჩანს, ყოფილ პრემიერს გადაწყვეტილება საბოლოოდ არ გადაუფიქრებია, ვინაიდან განაცხადა, რომ სურს, თავის ტოქშოუში ერთი გადაცემა ქართული მედიის კრიტიკას დაუთმოს.

კიდევ ერთი დეტალი. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ტელეფონი ისმინება. ივანიშვილის თქმით, მას ორი-სამი დღის დაწყებული ჰქონდა საუბარი ახალ ტოქშოუზე, როცა ნანუკა ჟორჟოლიანმა ეს ინფორმაცია გააჟღერა. ჟორჟოლიანი კი ირწმუნება, რომ ინფორმაციამ „ჯი-დი-ეს"-ის თანამშრომლებისგან გამოჟონა. როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრის ბოლო ინტერვიუს შემდეგ „ჯი-დი-ეს"-ის თანამშრომლები და მენეჯმენტი ფრთხილობენ და მომავალ გეგმებზე აღარ საუბრობენ, განსხვავებით გასული თვეებისგან.

„ჯი-დი-ეს"-ის დირექტორი, ლევან დაბრუნდაშვილი „ალიასთან" ვერ აკონკრეტებს, მოხდება თუ არა რაიმე ცვლილება არხზე: „ჯერჯერობით არანაირი ნიუსი არ კეთდება. ფორმატის ცვლილება იდეის დონეზე იყო და ახლაც ასეა. ჯერ არ მიგვიმართავს მარეგულირებელი კომისიისთვის ლიცენზიის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის გადაცემას, არ ვარ საქმის კურსში, ამიტომ ვერაფერს გიპასუხებთ".

ივანიშვილის ბოლო ინტერვიუმდე კი ლევან დაბრუნდაშვილი „კვირის ქრონიკასთან" საუბრისას აანონსებდა ცვლილებებს ტელეკომპანიის საეთერო ბადეში.

ცვლილებებია ტელეკომპანია „იმედშიც". „კვირის ქრონიკა" ჯერ კიდევ ორი კვირის წინ წერდა „იმედში" დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც არხზე ახალი გადაცემები გამოჩნდება, მათ შორის ინგა გრიგოლიას ახალი გადაცემა, რომელიც კვირას საღამოს გავა ეთერში და ორსაათიანი იქნება. ახალი პროექტია გია ჯაჯანიძის გადაცემაც, რომელიც აპოლიტიკური მიმართულების იქნება.

ჟურნალისტურ წრეში გავრცელდა ინფორმაცია, რომ არხის საინფორმაციო სამსახურშიც ცვლილებებია და „ქრონიკის" გუნდიდან ჟურნალისტებს უშვებენ. საინფორმაციო გამოშვების მთავარი პროდიუსერი ჯონი კალანდაძე: „არაფერი არ იგეგმება, ჩემთვის არაფერია ცნობილი. შეიძლება იგეგმება ვინმეს გაშვება, მაგრამ საჯაროდ არაფერი თქმულა, ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებთ მუშაობას".

ცნობილი ხდება, რომ „იმედის" მთავარ საინფორმაციო გამოშვებას ჟურნალისტი თეა სიჭინავა გაუძღვება. ლევან ჯავახიშვილი და ნუცა კოპალიანი, რომლებიც ამ დრომდე რვასაათიან გამოშვებას უძღვებოდნენ „დღის ქრონიკაზე" გადავლენ და ორ და ხუთსაათიან გამოშვებას წაიყვანენ.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მოვაჭრეების ვარაუდით, ე.წ. ციგნების ბაზრობა გაძარცვეს და ხანძარი ძალით გააჩინეს



თბილისში ე.წ. ციგნების ბაზრობის დაზარალებული მოვაჭრეები ხანძრის გაჩენის მოტივად ძარცვის ფაქტს ასახელებენ. ისინი ვარაუდობენ, რომ მძარცველებმა ჯერ სავაჭრო საქონელი წაიღეს და კვალის დაფარვის მიზნით ხანძარი გააჩინეს.

„აქ მელაგა პარკებში შენახული 400 წყვილი საქონელი, არც ერთი აღარ არის ადგილზე. გამოდის, რომ წაღებულია საქონელი და შემდეგ არის ცეცხლი წაკიდებული", – აცხადებს ერთ-ერთი მოვაჭრე.

თბილისში, ე.წ. ციგნების ბაზრობაზე 2500 კვ.მ ფართობი დაიწვა. ხანძარი საცხოვრებელ სახლებზეც გადავიდა.

დედაქალაქის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, „ბოშების ბაზრობის" ადმინისტრაცია მოვაჭრეებს კომპენსაციას გადაუხდის. ფინანსური დახმარების მოცულობა, რომელსაც ადმინისტრაცია მოვაჭრეებს გადაუხდის, ინდივიდუალურად განისაზღვრება. მისივე თქმით, ეს მოვაჭრეებსა და კომპანიას შორის მოლაპარაკების საგანია, თუმცა, რაიონული გამგეობა შუამავლის როლს ითავებს და პროცესში მონაწილეობას მიიღებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თურქეთი აჭარის შეფარულ ექსპანსიას ეწევა"



ქობულეთში მოსახლეობა მუსლიმანთა სასწავლებლის შენობასთან 15 სექტემბერს გვიან ღამემდე დარჩა. ისინი ვარაუდობდნენ, რომ სასწავლებელში ბავშვებს ღამით შეიყვანდნენ და ამისთვის ხელის შეშლას აპირებდნენ. ადგილობრივები ამბობენ, რომ მუსლიმანთა სასწავლებლის გახსნით თურქეთი აჭარის შეფარულ ექსპანსიას ეწევა და რეალურად შენობაში არა პანსიონი, არამედ მედრესე იხსნება, სადაც ბავშვებს რელიგიურ ლიდერებად მოამზადებენ. (ნიუპოსტი)




## ფილიპ დიმიტროვი საქართველოში მოღვაწეობას სექტემბრის ბოლოს დაასრულებს

„ვიმედოვნებ, რომ საქართველოში ხშირად ჩამოვალ. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ძალიან ბევრ ადამიანს ვხვდებოდი და მათ მოსაზრებებს ვისმენდი სხვადასხვა საკითხებზე. ძალიან ოპტიმისტურად ვარ საქართველოს მიმართ განწყობილი და მომავალშიც ასე ვიქნები", – განაცხადა დიმიტროვმა. (რეპორტიორი)

## ირაკლი ლომაია: „ვინც გამწარებული იცავდით „ოცნებას“, ახლა ნელ-ნელა დედითქვენის მუცლებში შეძვერით“



თამრიკო ჭოხონელიძის ინტერვიუს პარაფსიქოლოგი ირაკლი ლომაია სკანდალური განცხადებით ეხმაურება.

ლომაიას ჭოხონელიძისადმი მიმართვა სოციალურ ქსელში გავრცელდა:

– ძალიანაც კარგი, ისიც საქმეა რომ გყოფნით იმის გამბედაობა და თავად აღიარებთ, რომ მწარედ შეცდით... მახსოვს, თავკუდგამოდებული იცავდით „ოცნებას“ ახლა რა შეიცვალა? ეგ არაფერი, წინ უფრო ბევრს ინანებთ... ამ ბოლო დროს გულიანად ვიცინი ხოლმე ყველა იმ ადამიანზე, ვინც გამწარებული იცავდით „ოცნებას“ კბილებით, ახლა კი ნელ-ნელა დედითქვენის მუცლებში შეძვერით, უფრო სწორად გსურთ შეძრომა, მაგრამ იმდენად გასივდით, უკან ველარ ეტევით... თქვენ კი, ქალბატონო ჭოხონელიძე, მთელი ცხოვრების განმავლობაში რაღაც ერთი სიმღერა იმღერეთ და მაგას ზედ ნუ გადაგვაყოლებთ. თქვენივე არტისტიზმი თუ ნიჭია, პოლიტიკაში ნუ აურევთ და დაეტიეთ რა, თქვენს სოროში. იმღერეთ, თუ გემღერებათ, ან იცეკვეთ... არ გაგვიწყალეთ საქმე? ეხლა კი სირცხვილი გვიანია, სანამ პირს გააღებდით, იქამდე უნდა გეფიქრათ ამაზე... მაგრამ ძაღლის თავი სხვაგან იმარხება ძალიან კარგად გიცნობთ და ვიცი თქვენი ნათესაური კავშირი ივანიშვილთან, თქვენ ხომ ბერას ნათლია ხართ, ხო და ეს ნათლობა უღირსად შეფასებული გამოდგა, სათანადო ყურადღება არ მოგაქციეს, გეგონათ, თუ ულტრამილიონერს შვილს მოუნათლავდით, თან გადმოგყვებოდათ, მაგრამ ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში, ეხლა კი როცა ამას მიხვდით, უცებ გახდა ოცნება ისევ ცუდი, არა? ჰაი დედა, არა და მაშინ, როცა გაჰყვიროდით, „ოცნება“, „ოცნებაო“, არც მაშინ იყავით გულწრფელი და მხოლოდ ანგარება გამოძრავებდათ, ხო და რაც მოგივათ, ახია თქვენზე... ამ წერილს კი საჯაროდ გიგზავნით და თუ ჩემი სიმართლე გულზე მოგხვდებათ, ცივი წყალი დალიეთ. ხო კიდევ ამ გახსენებაზე, იქნებ იმაზე პასუხი გამცეთ შენ და კვალიაშვილმა, ჩემი წიგნის პრეზენტაციის დროს რომელმა მოტეხეთ ჩემი გადახდილი 600 ლარი, შენ თუ კვალიაშვილმა? რა ვიცი, როგორც კვალიაშვილმა ბრძანა, თურმე გადაგიხადათ და გადაგვაგდეთ... – აი, ასეთები ხართ თქვენ, ახლა კი დიდი ამბავი, თქვენც თუ ვინმემ გადაგაგდოთ, გულს ნუ გაიტეხთ, ახია თქვენზე! – წერს ირაკლი ლომაია.

*newposts*

## „ვაი მე, რაღა ვქნა“ – ჭოხონელიძის პასუხი ლომაიას



მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე პარაფსიქოლოგ ირაკლი ლომაიას მიმართვას პასუხობს:

– ვაიმე რაღა ვქნა, ნორმალური არ არის ნამდვილად იმიტომ, რომ არანორმალურ მოვლენასთან მაქვს ამჯერად საქმე. ეს ლომაია, რომელიც ჩნდებოდა ხოლმე ეკრანზე, ჩემში არაჯანსაღ ასოციაციას იწვევდა ხოლმე და დღეს კიდევ უფრო განმტკიცდა. მე ამ ადამიანს საერთოდ არ ვიცნობ, ერთადერთხელ იყო, როდესაც ჩემთან სტუდიაში მანქანით მომაკითხა ეკა კვალიაშვილმა და ამ ბიჭმა, რომელმაც გადმომცა წიგნის პრეზენტაციისთვის მოსაწვევი. ერთ-ერთ ღონისძიებაზე, სადაც ეკა კვალიაშვილი მღეროდა, ვნახე ეს ადამიანი, თუმცა არ მახსოვს, ეს მისი წიგნის პრეზენტაცია იყო თუ არა. სრული შოკი მაქვს იმიტომ, რომ მსგავსი ბრალდება ჩემთვის არავის წაუყენებია არასდროს და მიმართოს კვალიაშვილს, ვისაც ემეგობრებოდა. ერთადერთხელ მყავს ნანახი, როდესაც ეს მოსაწვევი მოიტანეს და გაკვირვებულიც კი ვიყავი, მე რა შუაში ვარ-მეთქი, – განაცხადა თამრიკო ჭოხონელიძემ.

*pirveliradio.ge*

## „დე... ყველაზე მაგარი დედა ხარ მსოფლიოში და ყველაზე სამართლიანი ადამიანი“



მომღერალ მარიამ როინიშვილს დედის მოფერება საჯაროდ, სოციალური ქსელით მოუნდა. ის ასეთი სიტყვებით ეფერება თამრიკო ჭოხონელიძეს.

– დე... ყველაზე მაგარი დედა ხარ მსოფლიოში და ყველაზე სამართლიანი ადამიანი. მიყვარხარ და დანარჩენს, შემოვალ ოთახში და ისე გეტყვი... – წერს როინიშვილი.

*primetimenews.ge*

## სოფო ბედიას დიეტა



სოფო ბედიამ ბოლო დროს საგრძნობლად დაიკლო წონაში. მომღერალმა ქართველ მსმენელს გახდომის მისეული მეთოდი გაანდო. როგორც თავად ამბობს, გახდომის სურვილი ყოველთვის ჰქონია, თუმცა ყოფილ ქმარს „ქალური ფორმებით“ მოსწონდა და მის სურვილს „ფეხს უწყობდა“. ზაფხულის შემდეგ 7 კგ დაუკლია და ახლანდელი შეყვარებულის თხოვნით, მიღწეული წონის შენარჩუნებას აპირებს.

– განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ, არ მივირთმევ 6 საათის მერე და ცომეულისგან თავს ვიკავებ. ასევე, ვცდილობ, ენერგია მაქსიმალურად დავხარჯო. მარხვაზე ვარ და ამ ბოლო დროს ლობიანის ჭამაც მიწევს, მაგრამ მაინც დავიკელი წონაში. ალბათ, ნივთიერებათა ცვლაც წესრიგში მაქვს და ამიტომ ვიკლებ წონაში. როცა სცენაზე დგახარ, უნდა იყო ფორმაში... ჩემი კონსტრუქციიდან გამომდინარე, ქალური ფორმები მაქვს, ბევრის დაკლება არც მიხდება, სახეზე მეტყობა. ზაფხულის შემდეგ 7 კილოგრამი დავიკელი. ასევე, ამოვიღე შაქარი და მარილი. ძირითადად, მოხარშულ საჭმელს მივირთმევ... განტვირთვის დღეებს ვაკეთებ და უმარილო წიწიბურას მივირთმევ, – აცხადებს სოფო.

*radio.ge*

## „გორელებს ყველაზე მეტად მოუხდებოდა სერია – SI *** RI“



„მაესტროს“ გორის ბიუროს ჟურნალისტი ია თინიკაშვილი ახალ სანომრე ნიშნებს სოციალური ქსელით ეხმიანება და გორელებს შეურაცხყოფას აყენებს.

– აუუ, რა მარაზმია! შოკშია ხალხი სანომრე ნიშნების გამო! რამდენიმემ ბანკიდან გამოიტანა კრედიტი და ისე აიღო ნომერი. თანაც, პირადობის მოწმობები საჭირო აღარცაა, სახელ-გვარები, ინიციალები და რა ვიცი, ლამის სქესი და ორიენტაციაც დაიწერონ მანქანებზე. ისე, მგონია, რომ ყველაზე მეტად გორელები ავარდნენ, ქუჩაში რომ ვმოძრაობ, მექანიკურად, სულ სანომრე ნიშნების სერიებს ვაკვირდები. ძალიან გამიკვირდა, რამდენიმე გორელი თავადვე რომ ვერ მიხვდა, რომ მის ავტომობილს ყველაზე მეტად მოუხდებოდა სერია – **SI *** RI**, – წერს ჟურნალისტი.

*pia.ge*

## ფეხმძიმე სოფო გელოვანი

მომღერალი სოფო გელოვანი ფეხმძიმედაა. სოფო მეორე შვილს ელოდება. მომღერალი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ორსულობის ამსახველ ფოტოს აქვეყნებს.



სოფო გელოვანის მეუღლე ნოდო ლანდია პროფესიით გინეკოლოგია. წყვილს 5 წლის შვილი, დათა ჰყავთ.

*ambebi.ge*

## როგორ გამოიყურებოდა პრემიერი ყმაწვილკაცობაში



პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, მეუღლესთან ნუნუკა თამაზაშვილთან ერთად. ფოტო სოციალურ ქსელში გავრცელდა.

*newposts.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



შეფი სამსახურში უახლესი თაობის „მერსედესით“ მოვიდა.

– მაგარი მანქანაა, შეფ, – ვუთხარი.

– ჰო, – მიპასუხა მან, როცა ჩემი აღფრთოვანებული მზერა შენიშნა, – იშრომე, არ დაიზარო, მუხლჩაუხრელად იმუშავე და მომდევნო წელს სამსახურში... კიდევ უფრო მაგარი მანქანით მოვალ!..

*****

– ვაჟი შემეძინა!

– უი, გილოცავ! ცოლი როგორ გრძნობს თავს?

– არ ვიცი... რომ გაიგებს, ალბათ, გამოშტერდება!..

*****

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– ძვირფასო, შენ ჩემზე მეტად მათემატიკა გიყვარს!

– რა თქმა უნდა, არა, ჩემო საყვარელო! როგორ იფიქრე ასეთი რამ?!

– აბა, დამიმტკიცე!

– კარგი!.. აი, დავუშვათ, ა – საყვარელი ობიექტების ერთობლიობაა...

*****

გზაზე ავარია მოხდა – ვიღაცამ ვიღაც გაიტანა. მაშინვე შეგროვდა ცნობისმოყვარეთა არმია. მალევე გამოჩნდა რეპორტიორიც, რომელმაც ყველას მოტყუება გადაწყვიტა და ხალხში ყვირილით შევარდა:

– გამიშვით, გამიშვით! დაზარალებულის შვილი ვარ!!!

ხალხი გაიწ-გამოიწია... გზაზე ფეხებმომტვრეული სახედარი ეგდო...

*****

– არ არსებობს ისეთი პრობლემა, რომელსაც მულტფილმებითა და 2 კილო კანფეტით ვერ მოიგვარებთ!..

*****



მონადირე დათვის ბუნაგში შეძვრა. ხედავს, სკამზე ბელია ჩამომჯდარი:

– მამაშენი სახლშია?

– არა.

– და დედაშენი?

– არც დედაჩემი...

მონადირემ ბელს პანჩური ამოსცხო:

– აბა, დაახვიე აქედან!

– ბებიააა!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# ადამიანის 10 ყველაზე ამოუხსნელი და იდუმალი თავისებურება





სტატისტიკის თანახმად, თანამედროვე მეცნიერებას ცოცხალი არსებების 90 პროცენტი ჯერ კიდევ არ აღმოუჩენია, რაც ბევრის სამართლიან გაკვირვებას იწვევს, თუმცა, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სწავლულებს თვით ადამიანის თავისებურებების უმეტესი ნაწილიც კი არ აქვთ ბოლომდე ამოხსნილი, ცოცხალი არსებების უცნობი 90 პროცენტი განცვიფრების საშუალებას, უბრალოდ, აღარ გვაძლევს. მით უმეტეს, რომ საქმე ეხება ისეთ მოვლენებს, რომლებიც ერთი შეხედვით, თითქოს, ძალიან მარტივად ასახსნელ-გასაგებია.

როგორც ირკვევა, ბრიტანული სამეცნიერო-პოპულარული გამოცემების კვლევის საფუძველზე მომზადდა ერთგვარი რეიტინგი, რომელშიც საუბარია ადამიანის 10 ყველაზე ამოუხსნელ და იდუმალ თავისებურებაზე, რომელთა განმარტებას თანამედროვე კაცობრიობა ვერაფრით ახერხებს.

გაგიკვირდებათ და რეიტინგში შედის ისეთი მოვლენა, როგორიცაა, მაგალითად, სიცილი, ასევე, სიზმრების ნახვა, გაწითლება დამორცხვებისას და ასე შემდეგ.

სპეციალისტების განმარტებით, დედამიწის ზურგზე ადამიანი ყველაზე უჩვეულო არსებაა და მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ყველა შტრიხის ახსნა წარმოუდგენელი აღმოჩნდა, მაგრამ სწორედ ასეთი ექსცენტრიკული თავისებურებები განაპირობებს იმას, რომ ჩვენ, ადამიანები, ადამიანებად ვიწოდებით.

სიტყვა ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, სჯობს, ბრიტანელების მიერ მომზადებულ საკმაოდ საინტერესო რეიტინგზე გადავიდეთ:



1. სირცხვილისგან გაწითლების უნარი – სულ რომ თავი გაიგიჟონ მეცნიერებმა, ალბათ, ამ მოვლენის ახსნას მართლა ვერასოდეს შეძლებენ. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ მოვლენაზე ათობით და ასობით კვლევაა ჩატარებული. რატომ მოგვანიჭა ბუნებამ სირცხვილისგან გაწითლების თავისებურება? არავინ იცის, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობა, გავიგოთ, როგორ ადამიანთან გვაქვს საქმე.

2. სიცილი – სამწუხაროდ, სიცილის, როგორც ევოლუციური მნიშვნელობის გაგება ძალიან რთულია, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ასეთი თავისებურება ადამიანს მიმადლებული აქვს, რადგან, მოგეხსენებათ, სიცილის გარეშე რეალური ცხოვრება გაცილებით რთული და აუტანელი იქნებოდა.

3. თმების ზრდა გენიტალიების მიდამოებში – ალბათ, ზოგიერთი ხუმარა ნაცნობისგან ბევრჯერ გექნებათ გაგონილი: „თმას რომ ჭკუა ჰქონდეს, უკანალზე კი არ გაიზრდებოდაო“. აქვს თუ არა ჭკუა, რატომ იზრდება თმა გენიტალიების მიდამოებში, ამ მრავალმნიშვნელოვან კითხვაზე პასუხს ვერც მეცნიერები იძლევიან.

4. გარდატეხის პერიოდი – ყოველთვის გვწყინს ხოლმე, როცა ადამიანების წინაპრებად მაიმუნებს ასახელებენ... ვისაც ჰგონია, რომ ორანგუტანგის შვილთაშვილია, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ჩვენ კი გულს იმით გავიხარებთ, რომ „წინაპრების“ არც ერთ სახეობაში გარდატეხის პერიოდი არ გვხვდება.

5. სიზმრები – ამ თავისებურებასთან დაკავშირებით მეცნიერების მოსაზრებები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ერთნი მიიჩნევენ, რომ საქმე გვაქვს გაუცნობიერებელი სურვილების არარეალურ სამყაროში ასახვასთან, სხვები ვარაუდობენ, რომ სიზმარი მხოლოდ დაგროვილი ემოციების გადამუშავების პროცესია.

6. ალტრუიზმი – შემოქმედებითი შესაძლებლობები, რომლებიც ადამიანს ხელოვნების ნიმუშების მოგონების საშუალებას აძლევს.

7. ცრურწმენა. 8. კოცნა. 9. ცხვირში თითის შეყოფა.

10. პოზა ძილის დროს – აღნიშნული თავისებურება ასევე აუხსნელია, რადგან ნებისმიერი ძილის დროს განსხვავებულ პოზას ირჩევს. რატომ? რა ვიცით, აბა?..

***tainamira.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## არაბულმა სასამართლომ მამაკაცებს ცოლ-შვილის ცემის ნებართვა ოფიციალურად მისცა



მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროპამ ჩვეული სულელური შეშფოთება გამოთქვა, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში პროტესტი ერთი ყურიდან შეუშვეს და მეორედან გამოუშვეს: იქაურმა სასამართლომ მამაკაცებს ცოლებისა და არასრულწლოვანი შვილების ცემის ნებართვა ოფიციალურად მისცა.

საინტერესოა, რომ საამიროების უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში მამაკაცების უფლება შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „ცემამ დისციპლინური დასჯის ფარგლებში მსხვერპლის სხეულზე ფიზიკური კვალი არ უნდა დატოვოს“.

იქაური მედიის ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ შარიათის კანონების შესაბამისად მას შემდეგ გამოიტანა, რაც საამიროების ერთ-ერთმა მოქალაქემ ფიზიკური შეურაცხყოფის არაერთხელ მიყენების გამო ქმარს უჩივლა და მისი დასჯა მოინდომა. წინდაუხედავმა არაბმა ქალმა სარჩელით საკუთარი თავიც ხომ დაიღუპა და მთელი ქვეყანა ძალადობის მსხვერპლად აქცია.

***selectornews.com***

## შექმნილია უნივერსალური სათვალეები ნებისმიერი მხედველობის კორექციისთვის



ებრაელი სწავლულების მორიგი წარმატებული და ძალიან მნიშვნელოვანი კვლევის შედეგების შესახებ გახდა ცნობილი საზოგადოებისთვის, რომელსაც მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში უკვე უწოდა „კაცობრიობისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი“.

სიახლე მართლაც მნიშვნელოვანია და ისეთ საკითხს უკავშირდება, როგორიც მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემებია.

ცნობილი ხდება, რომ ებრაელმა მეცნიერებმა გამოიგონეს უნივერსალური სათვალეები, რომელიც ნებისმიერი მხედველობის კორექციას ახდენს. კერძოდ, „ახალი თაობის“ სათვალეზე გამოიყენება სპეციალური ლინზები, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, იქნება ის შორსმხედველი თუ ახლომხედველი, დაინახოს და აღიქვას ნებისმიერი საგანი ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ შემთხვევებში ხდება.

სიახლის შესახებ ცნობილია ის, რომ სათვალეს ერთდროულად ორი სპეციალური ლინზა აქვს მიღებული – ზედა მხარეს განთავსებულია ლინზა შორი ობიექტების დასანახად, ქვედა მხარეს კი – ახლო ობიექტების.

რა ეღირება ებრაელების უნივერსალური სათვალე, ან რამდენად ხელმისაწვდომი იქნება ის დანარჩენი მსოფლიოსთვის, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ზუსტდება.

***newscientist.com***

## სექსის ხარისხი საწოლის თეთრეულის ფერზეა დამოკიდებული?



უახლოეს მომავალში რომ გამოვიდნენ სექსოლოგები და განაცხადონ, სექსზე ისიც მოქმედებს, როგორ პოზაში ვსხედვართ სკამზე ან რა ფერის წინდები გვაცვია. ყოველ შემთხვევაში, იმას, რომ სექსის ხარისხზე საწოლის თეთრეულის ფერი მოქმედებს, სპეციალისტები თავგამოდებით ამტკიცებენ.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ყველაზე დადებითი ეფექტი წყვილისთვის, რომელიც საწოლში ექსპერიმენტებს ერიდება, ზურმუხტის ფერ თეთრეულს მოაქვს. ადამიანების კატეგორიამ, რომელსაც ფიზიკური შრომა უწევს, უპირატესობა თეთრ ფერს უნდა მიანიჭოს, ხოლო ოფისის თანამშრომლებისთვის მისწრება ყოფილა ცისფერი თეთრეული.



იმისთვის, რათა წყვილს შორის ემოციური კავშირი აღდგეს, საჭიროა დასახმარებლად თაფლისფერი გამოიყენოთ, ხოლო რომანტიკული ურთიერთობების გასაღრმავებლად იასამნისფერი თეთრეულია საჭირო.

რაკიღა სექსუალურ თემაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე კიდევ ერთი კვლევის შესახებაც მოგახსენებთ: აღმოჩნდა, რომ ორგაზმის პრობლემების მქონე ადამიანებს, განსაკუთრებით კი მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, უდიდეს დახმარებას უწევს თევზეული, განსაკუთრებით დადებითი შედეგის გამოღება კი ვირთევზას კერძის დაგემოვნებას შეუძლია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა ამერიკელმა მეცნიერებმა ჩაატარეს, რომელშიც გარკვეული სექსუალური პრობლემების მქონე 1600 მოხალისე მონაწილეობდა. რაციონში ვირთევზას დამატებამ 87 პროცენტს უსიამოვნებები ძალიან სწრაფად მოუგვარა და ამბობენ, დაუვიწყარი ორგაზმიც განაცდევინაო...

***galya.ru, 24karata.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. დედამიწის მოდელი
2. პატრუქიანი თოფი
3. ქალაქი კრასნოდარის მხარეში
4. ჟურნალისტი ... ასათიანი
5. „დიდოსტატის მარჯვენა“ შორენას მოსამსახურე ქალი
6. ტუჩი
8. სპორტის სახეობა
9. პოეტი მიხეილ ...
10. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
11. „ილიადა“ ქალაქი
12. სოფელი დუშეთის რაიონში
13. შალის საპალტოე ქსოვილი
14. ფინური აბანო
15. მსახ. ... უიზერსპუნი
16. დაწმენდილი შაქარი
17. იტალიური ავტომობილი
18. მეკარე ლევ ...
19. ზოლიანი ცხოველი სავანაში
20. ... სჯობია ღონეს, თუ კაცი მოიგონებსა
21. რეჟისორი ... უელსი
22. უდაბნო აფრიკაში
23. ვერცხლის გრძელტარიანი სასმისი
24. დანიელ დეფოს ნაწარმოების გმირი
25. ფიზიკოსი მაქს ...
26. მსახიობი ... აფლეკი
27. ქალაქი იტალიაში
28. მხარე საქართველოში
29. თეატრალური ქუჩა ნიუიორკში
30. პიგმენტაცია კანზე
31. „ვეფხისტყაოსანი“ ავტორი
32. მწერალი ერნესტ ...
33. ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი
34. ჭკვია-ნური, ანუ ...
35. მდინარე აჭარაში
36. მისი დედაქალაქია თეირანი
37. მწერალი ... მოემი
38. ტყავის დამუშავებ. სპეციალისტი
39. მითიური ცხენ-კაცი
40. სინდიოფალა
41. ავადმყოფობის ისტორია
42. ესპანეთის დედაქალაქი
43. მსახიობი ... არამოვი
44. ცხარე საწებელი
45. ჰუნების ბელადი
46. მცენარე. ხდიან ტეკილას
47. თეთრგვარდ. გენერალი
48. მსახიობი სილვესტერ ...
49. ... ფიროსმანაშვილი
50. ფეხბურთელი ... ზიდანი
51. ახალგაზრდა კაცი
52. ზაფხულის თვე
53. დიდი ჩაქუჩი
54. პოეტი ... გრანელი
55. ჯომოლუნგმა, ანუ ...
56. ავადმყოფობის ნიშნები
57. წიგნაკი მოსახევი ფურცლებით
58. წყლის გრაციოზული ფრინველი
59. ტელეკოშკი
60. სპექტაკლ. „ძველი ...“
61. ფასდაკლება
62. ყურძნის შაქარი
63. გემის მთავარი კოჭი
64. საწებელი
65. მინდვრის ყვავილი
66. მწერალი ლუიჯი ...
67. ქმედება ალალბედზე
68. მომღერალი ... მარტინი
69. „პირველი მერცხალი“ პერსონაჟი
70. ზღვა საბერძნეთთან
71. ახალი ზელანდიის მკვიდრი
72. სასიმინდე
73. არაქი-სიანი შოკოლადი
74. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
75. უესლი სნაიპსი ფილმში
76. ბრინჯაო
77. ფუტკრების სახლი
78. ჩოგბურთის მოედანი
79. მისი დედაქალაქია პრიშტინა
80. ზიგზაგის ფორმის გრაფიკი
81. ინდიელების ვარცხნილობა
82. მხ/ფ „დოქტორ ... კუნძული“
83. ჩანთოსანი დათვი
84. რადიოს იტალიელი გამომგონებელი
85. წყალსაცავი აზერბაიჯანში
86. მისი დედაქალაქია დამასკო
87. მსახიობი ... ლონგორია
88. მეფის მრჩეველი
89. მსახიობი ... როტი
90. მომღერალი ... კუტუნიო
91. მამლის ჯიღა
92. დათვის ნაშიერი
93. ერთდროულად აღებული რამდენიმე კლავიში
94. სოფოკლეს ტრაგედია
95. ავსული არაბულ ზღაპრებში
96. უნგრელი კომპოზიტორი
97. თოკი
98. მსახიობი ... მაღალაშვილი
99. რეჟისორი ... ტარანტინო
100. ტყის მასივი ციმბირში
101. რუსული რევოლუც. გაზეთი
102. მათემატიკური გამოსახულება
103. მწერალი კობო ...
104. მზის ღმერთი ეგვიპტეში
105. ძალიან წმინდა საცერი
106. კომბლეს იარაღი
107. ხელოვნური ენა
108. ბედი
109. მწვანე მინერალი
110. მსახიობი რასელ ...
111. თურქეთის დედაქალაქი
112. ნაგებობა მდინარეზე
113. ... ფიტცჯერალდი
114. რეჟისორი ... ლი
115. ლეილა აბაშიძე ფილმში
116. ფრანგი მომღერალი ქალი
117. „მე, ბებია, ... და ილარიონი“
118. ქართ. საესტრადო ანსამბლი
119. მსახიობი ვახტანგ ...
120. რეჟისორი პიერ პაოლო ...
121. გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი
122. მალევიჩი. „... კვადრატი“
123. ... ძედუნი
124. მუზეუმი მადრიდში
125. „... ოკეანის საიდუმლოება“
126. მსაჯი პიერ ლუიჯი ...
127. ... ცეტკინი
128. მზის ამოსვლა
129. დოკუმენტების საცავი
130. კორეული ავტომობილი
131. ზევსის ცოლი
132. გეომეტრიული ფიგურა
133. ... ურჩევნია მამულსა
134. მწერალი ვიტალი ...
135. ჭაობში წარმოქმნილი ნიადაგი
136. ბალანი, ბეწვი
137. მუხის ნაყოფი
138. ცეცხლგამძლე კარადა
139. ქიმიური ჭურჭელი
140. მსახიობი ... ბროუდი
141. ლუდის მასალა
142. უძრავი ქონების შესყიდვის ფორმა
143. სავარცხლიანი ფრინველი
144. მომღერალი ... კახიანი
145. მომღერალი ... რიდი

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ინჟინერი სახლს ბირთვულ ბუნკერთან ერთად ყიდის



გვეგონა, ასეთი რამერუმეები მხოლოდ კინოში თუ ხდებოდა, რომლის გმირიც საცხოვრებელი სახლის ქვემოთ თავშესაფარს კომუნისტების რაკეტებისგან თავის დასაცავად აშენებს, თუმცა ბირთვული ბუნკერი რეალობაშიც არსებულა და ის დიდ ბრიტანეთში, კერძოდ კი დევონის საგრაფოს ერთ-ერთ სოფელში მდებარეობს.

როგორც ირკვევა, ადგილობრივ ინჟინერს მაიკ ტომასს ბუნკერი საკუთარი სახლის ქვეშ 6 მეტრის სიღრმეზე ჯერ კიდევ 1985 წელს მოუმზადებია, როცა მთელი დასავლური ბლოკი საბჭოთა კავშირისგან ბირთვულ შეტევას ელოდა.

ცნობილია ისიც, რომ ტომასის თავშესაფრის ფართობი 28 კვადრატულ მეტრს მოიცავს, რომლის გამძლეობაც ჰიროსიმაში ამერიკელების მიერ ჩაგდებული ბომბისას 80-ჯერ აღემატება. დაფეთებულ ბრიტანელს ბუნკერში ექვსი ორსართულიანი საწოლიც ჰქონია ჩატანილი და ასევე, გამოუყვია ადგილი საკვების შესანახად, სადაც ერთი თვის სამყოფი პროდუქტი ეტევა.

მოკლედ, გავიდა დრო და მაიკ ტომასს ფინანსური პრობლემები გაუჩნდა, რის გამოც ის იძულებულია, უნიკალური სახლი თავის ბირთვულ ბუნკერთან ერთად გაყიდოს – უძრავი ქონების ფასი 350 ათასი ფუნტი სტერლინგია.

იმის გამო, რომ სოფლის სახლის კვალობაზე მაიკ ტომასის საკუთრება ძალიან ძვირია, ჯერჯერობით მას კლიენტები დიდად არ აწუხებენ, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მთელი ევროპა ტერორისტების მასირებული შეტევის მოლოდინშია გაყურსული, არ არის გამორიცხული, ბირთვული ბუნკერის ხათრით სახლი უახლოეს მომავალში გაიყიდოს.

*metro.co.uk*

## აუქციონებზე გაკეთებული ორიგინალური შენაძენები



თითოეული ჩვენგანი ფულს ისე ხარჯავს, როგორც საჭიროდ მიიჩნევს. ამასთანავე, ბევრი ფიქრობს, რომ ზოგიერთები გიჟურ თანხებს ისეთ რამეზე ხარჯავენ, რაც ნორმალური ადამიანისთვის საერთოდაც უსარგებლოა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოგიყვეთ აუქციონზე გაკეთებული რამდენიმე შენაძენის შესახებ, რომელიც ერთი შეხედვითაც, ორითაც და ასითაც მართლაც ყოვლად უსარგებლოა.

არცთუ დიდი ხნის წინათ ნიუ-იორკში ჩატარდა აუქციონი, რომელზეც ასეთი ლოტები გაიყიდა:

– მსახიობ რობერტ დე ნიროს გამოსახულებიან ჩვეულებრივ ჭიქაში, რომელიც ჰოლივუდის ვარსკვლავს ხელშიც კი არ სჭერია, ვიღაცამ 8500 აშშ დოლარი მხოლოდ იმიტომ გადაიხადა, რომ ეტრაბახა, „რარიტეტული ჭიქა“ ხელში აუქციონის დახმარებით ჩამივარდაო.

– „სულ რაღაც“ 52 ათასი აშშ დოლარი დაუჯდა ელტონ ჯონის ფანატს სათაყვანებელი მომღერლის კონცერტზე დასასწრები 2 ბილეთი მაშინ, როცა შეეძლო, სალაროში მისულიყო და თითოში 3 ათას დოლარამდე გადაეხადა.

– დაბოლოს: 42 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა პოპულარულ ჟურნალ „ვოგში“ ერთკვირიანი სტაჟირების გავლის უფლების სანაცვლოდ ერთ-ერთმა მკითხველმა, რომელსაც აღნიშნული თანხის ხათრით გამოცემის მთავარ რედაქტორთან ანა ვინტურთან შეხვედრის „ბედნიერებაც“ ექნება.

*newage-media.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**17 სექტემბერი:** საკმაო ძალა და ენერგია გექნებათ, რამაც შეიძლება არაერთი უსიამოვნება შეგიქმნათ. გამოსავლის ძიებაში შეიძლება არასწორი კურსი აიღოთ. ყურადღებით იყავით.

**კურო 22.04-21.05**

**17 სექტემბერი:** საკუთარი მოქმედებების გამართლების არავითარი აუცილებლობა არ გექნებათ. ნებისმიერ რამეს გაპატიებენ, მაგრამ ამით ბოროტად არ უნდა ისარგებლოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**17 სექტემბერი:** დღეს იპოვით პასუხს კითხვაზე, რომელიც რამდენიმე დღეა გაწვალებთ. თუმცა, ამისთვის საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**17 სექტემბერი:** ენთუზიაზმით აღსავსე, მაგრამ დაბნეული იქნებით. ამასთანავე, შეიძლება თქვენი მოქმედებებიც არაკოორდინირებული იყოს, ამიტომ ყურადღება არ მოადუნოთ.

**ლომი 23.07-22.08**

**17 სექტემბერი:** უჩვეულო ორგანიზაციულ ნიჭს გამოავლენთ, ამიტომ, არ გაგიკვირდეთ, სათანადო მითითებების გაცემისას მავანნი შურიანი თვალით თუ შემოგხედავენ.

**ქალწული 23.08-22.09**

**17 სექტემბერი:** დღეს ორ კონფლიქტურ მხარეს შორის მეკავშირეობის მისია დაგეკისრებათ. ეს ძალიან უმადური საქმეა. ასე რომ, მოთმინება იქონიეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**17 სექტემბერი:** სავარაუდოდ, ვიღაც შეუგნებელთან მოგიწევთ საქმის დაჭერა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ პირფერობა მოგიწევთ და იმის დემონსტრირება, როგორი აღფრთოვანებული ხართ მისი ინტელექტით.

**მორიელი 23.10-21.11**

**17 სექტემბერი:** არ არის გამორიცხული, თქვენდა უნებურად თქვენს გარშემო ქაოსის ნიშნები გამოჩნდეს. იქნებ მართვის სადავეები დროებით სხვას დაუთმოთ?

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**17 სექტემბერი:** ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ ეს დღე ფინანსური კუთხით წარმატებულად ჩაითვალოს. თქვენი კეთილდღეობის ამაღლების შანსები საკმაოდ მაღალია, მაგრამ სიფრთხილე არ მოადუნოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**17 სექტემბერი:** ეს დღე საზოგადოებაში გაატარეთ. მარტოობაში ყოფნა სულიერ კომფორტს არ შეგძენთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**17 სექტემბერი:** სირაქლემასავით თავის ქვიშაში ჩარგვას ნუ შეეცდებით, ეს პრობლემებისგან ვერ დაგიხსნით, პირიქით, გააღრმავებს.

**თევზები 19.02-20.03**

**17 სექტემბერი:** დღეს თქვენი აზრები არავის დააინტერესებს, ამიტომ, უმჯობესია, თქვენთვის შეინახოთ. აზრის გამოთქმის საშუალება კიდევ მოგეცემათ.

## ქალების ფარულ დაავადებებს ყავა გამოააშკარავებს



ამერიკის ნევროლოგიის აკადემიის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ყავის დალევის შემდეგ ხელების უნებური კანკალი ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ უსიამოვნებებზე მიუთითებს და აუცილებელია სასწრაფოდ ექიმთან მისვლა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ ექსპერიმენტში 23-დან 60 წლამდე ასაკის რამდენიმე ასეულმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. აღმოჩნდა, რომ გარკვეულ ნაწილს ყავის დალევის შემდეგ ხელების კანკალი მართლაც სჩვევია, რის გამოც მათ შესაბამისი კვლევა ჩაუტარდათ და ჰიპერტონიასთან ან გულ-სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემებიც გამოუვლინდათ. ამასთანავე, სამედიცინო შემოწმება გაიარა იმ ნაწილმაც, რომელზეც ყავამ აღნიშნული გავლენა არ მოახდინა. მათ ჯანმრთელობის მდგომარეობა წესრიგში ჰქონდათ.

როგორ და რა გზებით ავლენს ყავა დაავადებებს, მეცნიერები ვერ ხსნიან, თუმცა ფაქტია, რომ მათმა ექსპერიმენტმა გაამართლა. ამდენად, ანალოგიური სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში, ექიმთან კონსულტაციების გავლას ისინი ყველას ურჩევენ.

*gazeta.ua*

## დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანები ხშირად ავადმყოფობენ



ცოტა არ იყოს, უცნაური ინფორმაცია კია, რადგან ერთი შეხედვით, რთული წარმოსადგენია, რა გავლენას უნდა ახდენდეს ინტელექტი ადამიანის ჯანმრთელობაზე, თუმცა ფაქტია, რომ მეცნიერებმა ასეთი დასკვნა გამოიტანეს და ამტკიცებენ – დაბალი ინტელექტის მქონეები უფრო ხშირად ავადმყოფობენო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა ბელგიის ჯანდაცვის ინსტიტუტმა ჩაატარა, რომლის სპეციალისტებმაც 11 ათასამდე ადამიანის მდგომარეობა შეისწავლეს და დაადგინეს: ჯანმრთელობის მდგომარეობა და განათლების დონე ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია. კერძოდ, რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო იშვიათად აწუხებს მას სხვადასხვა სახის დაავადება.

ექსპერტების დაკვირვებით, ქრონიკული დაავადებები განათლებული ადამიანების მხოლოდ 20 პროცენტს აწუხებს, მაშინ, როცა ინტელექტის დაბალი მაჩვენებლის მქონეების შემთხვევაში ეს ციფრი მინიმუმ 44 პროცენტს უტოლდება.

მოკლედ, სწავლა, სწავლა და სწავლა არა მხოლოდ წარმატებული კარიერისთვის, არამედ ძლიერი ჯანმრთელობისთვის.

*infomaniya.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მოხუცებული ბაბუა ცოლს ეკითხება:

– აბა, ყური დამიგდე, დედაკაცო, – რომ მოვკვდები, როგორ დამმარხავ? ჩემთვის არაფრის ყიდვა არ გიყვარდა, სულ მეუბნებოდი, ძვირია, ძვირიაო! ფული კი გაქვს და სამარეში ხომ არ უნდა წაიღო?

– შენ სულ გამოჩერჩეტებულხარ! ისე დაგასაფლავებ, როგორც მილიონერს - ახალ შარვალ-კოსტიუმსა და ფეხსაცმელებს გიყიდი, ტაძარში დაგასვენებ, მღვდელი წესს აგიგებს...

ბაბუამ ცოლის შემოწმება გადაწყვიტა და მეორე დღესვე თავი მოიმკვდარუნა... ცოლმა მხოლოდ ტრუსები ჩააცვა, მაისური, კეტები, გადააფარა სუდარა, დაჯდა და დაიწყო მოთქმა:

– რატომ დამტოვეეეე... სად მიდიხარ, სად მიდიხარ, საააააად...

ბაბუმ თავი წამოყო, ადგა ფეხზე და:

– სად მივდივარ და ფეხბურთის სათამაშოდ, შენი დედა კი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.15